პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეათე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის (ბ)
ცენტრ. კომიტეტის
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე დღის 11 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6 საათიდან 11 საათამდე.
ტელეფ.
რედაქტორის . . . 14—76
რედაქტორის მოადგ. 23—17
მდივნის . . . . . 10—58
მასიური განყოფილ. 22—44

მთავარი კანტორა თბილისი, რუსთაველის პრ., № 34 ტელეფონი № 3—81.

ხელისმოწერის ფასი
1 თვით 1 მანეთი
1 წლით—12 მან.
უცხოეთში
1 თვით—3 მანეთი

გაზეთის მიუღებლობის შემთხვევაში დარეკეთ ტელ. № 17—55

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—1 მ., ტექსტის შიგნით—2 მ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო ვადასახადს, თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. სამგლოვიარო განცხადებები—20 და 25 მ. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43.

ხუთშაბათი, 19 თებერვალი 1931 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 42 (2997)

დღიური

- ვანდერველდე მოითხოვს საბჭოთა კავშირთან ნორმალური ურთიერთობის დამყარებას.
- ავსტრიის მუშები ილაშქრებენ მენშევიზმის ლიდერების წინააღმდეგ.
- რუმინეთის პრესა ამხ. ლიტვინოვის ნოტის შესახებ.
- გაიხსნა დეპეშათა სააგენტოების პირველი საკავშირო თათბირი.

სრ. საქართველოს საბჭოთა მეექვსე ყრილობა

საქართველოს მთავრობის ანგარიში

ამხ. ფილიპე მახარაძის მოხსენება

ხუთწლიან გეგმას შევასრულებთ ოთხ წელიწადში

ამხანაგებო! დღეს ჩვენ მოვისმინეთ ა-კ-ის მთავრობის მოქმედების ანგარიში. ამ მოხსენებიდან დაინახავდით, თუ როგორი დიდი და ჩქარის ტემპებით ვითარდება ა-კ-ში სახალხო მეურნეობის ყველა დარგი.

მე კერძოდ საქართველოზე შევჩერდები. ჩემი მოხსენება შეიცავს მთავრობის მუშაობის ანგარიშს ორი უკანასკნელი წლის (1928-29 და 1929-30) განმავლობაში. უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ სრულიად საქართველოს საბჭოების მეექვსე ყრილობა იკრიბება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ათი წლის თავზე.

ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ მეექვსე ყრილობაზე ჩვენ გავუკეთოთ ჯამი არა მარტო ორი უკანასკნელი წლის მუშაობას, საჭიროა საერთო ჯამი გუკეთდეს საბჭოთა ხელისუფლების მთელ მუშაობას განვლილ ათი წლის განმავლობაშიაც. რა თქმა უნდა, ერთ მოხსენებაში ყოვლად შეუძლებელია ამ დიდ თემის ამოწურვა. ჩემ მოხსენებაში შესაძლებელია აღნიშნული და გაშუქებული იქნეს ამ მუშაობის მხოლოდ უმთავრესი მომენტები, და ისიც ძლიერ შემოკლებით, და ეს მით უფრო, რომ ამხანაგ-დელეგატებს შეუძლიათ უფრო დაწვრილებით გაეცნონ ამ მუშაობას იმ მასალების საშუალებით, რომლებიც გამოცემულია მეექვსე ყრილობისათვის. თავის თავად იგულისხმება, რომ ამ მოხსენებაში მთავარი ყურადღება ექნება მიქცეული, როგორც ვთქვი, ორი უკანასკნელი წლის მუშაობას. მე მინდა, რომ ამ მოხსენებას არ მიეცეს მშრალი ანგარიშის ხასიათი. ამიტომ აქ ნაკლებად ექნება ადგილი ციფრებს და ცხრილებს. ყველა ამას დელეგატები იპოვნიან იმ მასალებში, რომლებზედაც ზევით ვთქვი.

მთავრობის მოხსენებას საბჭოების ყრილობაზე უეჭველად პოლიტიკური ანგარიშის ხასიათი ექნება. მუშათა და გლეხთა მთავრობის მუშაობა უნდა იქნას შეფასებული პოლიტიკური თვალსაზრისით, თუ რამდენად სწორად და გადაუხვევლად ტარდება სინამდვილეში კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ძირითადი პრინციპები და დირექტივები ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის სოციალისტურ საფუძველზე აგების შესახებ. შეცდომები, ნაკლოვანებები და დეფექტები აქ აუცილებელია. მაგრამ ყოველთვის ეს თავის დროზე დაუზოგავად უნდა იქნას გამო-

გრომანები და ბაზაროვები, რომლებიც თავის საგეგმო მოსაზრებებში იძლეოდენ ტემპების თანდათან შენელების სურათს.

შემდეგ, მთელი სახალხო შემოსავალი ხუთწლედის მიხედვით განვლილი 2 წლის განმავლობაში უნდა ყოფილიყო 58,3 მილიარდი მან., ნამდვილად კი მან მიაღწია 59,5 მილიარდ მან., ე. ი. გადააჭარბა 2 პროცენტით. საკავშირო მრეწველობის მთელი პროდუქცია იმავე ორი წლის განმავლობაში უნდა ყოფილიყო 29,3 მილიარდი მანეთის ღირებულებისა, სინამდვილეში ამ ღირებულებამ მიაღწია 30,5 მილიარდ მანეთამდე; ე. ი. გადააჭარბა ხუთი წლის გეგმის ვარაუდს 4 პროცენტით. კაპიტალური დაბანდებანი გამსაზოგადოებულ სექტორის ძირითად ფონდებში ნავარაუდევი იყო ხუთწლედით 12,7 მილიარდი მანეთის რაოდენობით, სინამდვილეში კი დაბანდებული იქნა 13,8 მილიარდი მან., ე. ი. ნავარაუდევზე მეტი 9 პროცენტით. სახელმწიფო ბიუჯეტი ნავარაუდევი იყო 17 მილიარდი მანეთის რაოდენობით, სინამდვილეში ის შეადგენს 21 მილიარდ მანეთს; აქ გადაჭარბება ხუთწლიან გეგმასთან შედარებით უდრის უკვე 24 პროცენტს.

1931 წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ამუშავდება 500 ახალი ფაბრიკა-ქარხანა; ამათ რიცხვში არიან ნამდვილი გიგანტები. მარტო 1931 წლის განმავლობაში მრეწველობაში შეტანილი იქნება ოთხი მილიარდი მანეთის ახალი მოწყობილობა, ე. ი. ახალი იარაღები და მანქანები. ეს უდრის თითქმის ომის წინანდელ დროის მრეწველობის ძირითად თანხას, რომელსაც ბურჟუაზია ქმნიდა ათეული წლების განმავლობაში (მოლოტოვის მოხსენებიდან საკავშირო ცაკის იანვრის სესიაზე).

რას ნიშნავს ზრდის ასეთი ჩქარი ტემპები? ეს ნიშნავს იმას, რომ სამრეწველო წარმოების ოდენობა 1931 წელს გადააჭარბებს სამჯერ ომის წინანდელ წარმოებას. ეს ნიშნავს იმას, რომ 1931 წელს სამრეწველო წარმოების მოცულობა შეადგენს უკვე სამრეწველო წარმოების 4/5, რომელიც ნავარაუდევი იყო ხუთწლიანი გეგმის უკანასკნელი წლისათვის. მეოთხე წლისათვის დაგვრჩება შესასრულებლად მაშასადამე, ერთი მეხუთედი ნაწილი ამ გეგმისა. რაც შეეხება სოფლის მეურნეობაში სოციალისტური სექ-

საქ. სახალხო მეურნეობის მდგომარეობა

ამ ციფრების შემდეგ, რომლებიც ახასიათებენ საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უდიდეს წარმატებებს და მიღწევებს, ჩვენ გადავდივართ საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობის მდგომარეობაზე: თუ საერთოდ საბჭოთა კავშირში სახალხო მეურნეობამ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის დროს განიცადა ძირითადი გარდატეხა, რადიკალური ცვლილება, ეს უპირველეს ყოვლისა უნდა ითქვას საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობის შესახებ. დაჯილდოებული უამრავი ბუნებრივი სიმდიდრით, (მადნეულობა, მინერალური წყლები, ძვირფასი ტყეები), თბილი და ზომიერი ჰავით, მიწის საუკეთესო ნიადაგით და სხვ. და სხვ.. ერთი სიტყვით, მიუხედავად უდიდეს შესაძლებლობათა, საქართველომ საუკუნეების განმავლობაში ვერ შესძლო დაეძლია და გადაელახა სიღატაკე. მეცხრამეტე საუკუნეში, როცა საქართველო მთელ ამიერ-კავკასიასთან ერთად რუსეთის იმპერიალისტური ბურჟუაზიის კოლონიას წარმოადგენდა, აქ ჩნდება მრეწველობის ნასახი (თუთუნის ფაბრიკები, ტყავის ქარხნები თბილისში, ტყიბულის ქვანახშირის და ჭიათურის მარგანეცის ამოღება, ხე-ტყის სახერხი ქარხნები და სხვა და სხვა წვრილი სახელოსნოები). გარდა ამისა რკინის გზის მეურნეობა და ბაქოს ნავთის მრეწველობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საწარმონი თბილისში, სოხუმში და განსაკუთრებით ბათომში. აი უმთავრესი დარგნი მაშინდელი მრეწველობისა. მაგრამ შეუძლებელია ამას ვუწოდოთ მრეწველობა ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. რუსეთის თვითმპყრობელობის და რუსეთის ბურჟუაზიის გეგმაში სრულებით არ შედიოდა, აქ მრეწველობას ცოტად თუ ბევრად მყვიდრი საფუძველი ჩაყროდა. ეს კიდევ უფრო შეიძლება ითქვას სოფლის მეურნეობის შესახებ. ისინი სრულებით არ იყვნენ დაინტერესებული იმაში, რომ აქ საწარმოო ძალები განვითარებულიყო. იმათი გეგმა და პოლიტიკა სულ სხვას ისახავდა მიზნად.

ახლა საინტერესოა ვიცოდეთ, თუ რა გა-

მცირდა 7-ჯერ. ბამბის კულტურა თითქმის სრულიად მოისპო. რაც შეეხება მეაბრეშუმეობას, ამაზე წარმოდგენას იძლევა შემდეგი ციფრები: 1914 წელს ნედლი პარკი მოწეულ იქნა 128,000 ფუთი; 1918 წელს—40,000 ფ., 1919 წ.—20,000 და 1920 წ.—52.000 ფ. ყველა ამას შედეგად მოჰყვა ხალხის გაღატაკება, შიმშილი და სიკვდილი. ამავე დროს მიწის საკითხი კიდევ უფრო გამწვავდა ვიდრე თვითმპყრობელობის დროს. ამას ამტკიცებენ სხვათა შორის, თვით მენშევიკური მთავრობის თ-რის ნ. ჟორდანიას განცხადება დამფუძნებელ კრების სხდომაზე 1920 წლის 5 დეკემბერს, აი რა თქვა მან: „გლეხების 90 პროცენტი იძულებულია დაამუშაოს სხვისი მიწა. ან უნდა წავიდეს სხვაგან, სოფლის მეურნეობის გარდა, ლუკმა პურისათვის". ეს სამი წლის შემდეგ მენშევიკების ბატონობისა, რა თქმა უნდა ეს არაა სრული სურათი იმის, რაც მაშინ ხდებოდა საქართველოში. მაგრამ აქედანაც ადვილი წარმოსადგენია, თუ რა კატასტროფიულ მდგომარეობას განიცდიდა მთელი სახალხო მეურნეობა იმ დროს, როცა მოხდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება.

საკითხი ასე იდგა: დაღუპვის კარამდე მისული სახალხო მეურნეობა უნდა დაგვეხსნა რათაც არ უნდა დაგვჯდომოდა. უპირველეს ყოვლისა საზრუნავ საგანს წარმოადგენდა მრეწველობის აღდგენა იმ სახით, რა სახითაც ის ომის წინ არსებობდა. საქართველო უაღრესად ჩამორჩენილი ქვეყანა იყო ეკონომიურად. ის იყო უაღრესად აგრარული ქვეყანა. მრეწველობის როლი სახალხო მეურნეობაში მცირე იყო. სწორედ ამიტომაც ამ სუსტ მხარეზე უნდა ყოფილიყო მიქცეული მთავარი ყურადღება. ეს მეტად ძნელ ამოცანას წარმოადგენდა. არსებულ ქარხანა-ფაბრიკების და სახელოსნოების მოწყობილობა, მანქანა-იარაღები დაძველებული იყო და საწარმოოდ სრულებით გამოუსადეგარი. არ იყო ნედლი მასალა, ან თუ იყო არა საკმარისი და ცუდი ხარისხის. მუშათა კლასი გაფანტული და დაქსაქსული იყო,

21.989 ფუთი, ასევე სხვა დარგებშიაც. შედარებით დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა იყო მხოლოდ ტყიბულის ქვანახშირის წარმოებაში, რადგანაც მენშევიკებს ცუდი პოლიტიკური ურთიერთობის გამო აზერბეიჯანთან, ბაქოს ნავთს ველარ ღებულობდენ. კატასტროფიული მდგომარეობა იყო რკინის გზის დარგში. მაგრამ კიდევ უფრო უარესი მდგომარეობა ჩამოვარდა მენშევიკების დროს სოფლის მეურნეობაში. მიწის ნათესი ფართობი განახევრდა იმასთან შედარებით, რაც იმპერიალისტურ ომამდე იყო. მენშევიკებს არც კი უფიქრიათ რაიმე ტეხნიკური ხასიათის გაუმჯობესებაზე სოფლის მეურნეობაში და მით უფრო მელიორატიულ ღონისძიებებზე. ამიტომ რა გასაკვირალია, თუ მოსავალი შეუწყვეტლად კლებულობდა. კატასტროფიულად ეცემოდა განსაკუთრებით ტეხნიკურ მცენარეთა კულტურა, რასაც ისედაც სულ უმნიშვნელო ფართობი ეჭირა იმ ხანებში. ასე, მაგ., თუთუნის ფართობი 1914 წელს უდრიდა 15.400 დესეტ.; მენშევიკების დროს ეს ფართობი დავიდა 2.200 დესეტინამდე, ე. ი. [illegible]

ბითი პერიოდი დამთავრდა საქართველოში დაახლოვებით 1925-26 წელს. ამის შემდეგ იწყება რეკონსტრუქციული პერიოდი. ყველაზე უფრო ჩქარი ტემპით იზრდება ჩვენში როგორც მთელი სახალხო მეურნეობა, ისე კერძოთ მრეწველობა დაწყებული 1927-28 წლიდან. შემდეგი ცხრილი ახასიათებს ზრდას.

ცენზიანი მრეწველობის პროდუქცია 1926—27 წლის უცვლელ ფასებში

წლები	ათას მანეთებში	23—24 წ. პროცენტობით	%%-ში წინა წელთან შედარებით
23—24	27022	100	—
24—25	38815	143,6	143,6
25—26	57777	213,8	148,9
26—27	58714	217,3	101,6
27—28	74306	275,0	126
28—29	111323	414,2	150,3
29—30	159268	589,4	142,3

ამნაირად 1923-24 წლიდან დაწყებული 1929-30 წლამდე, ე. ი. ექვსი წლის განმავლობაში მსხვილი ცენზიანი მრეწველობის პროდუქციამ 27.022 ათას მან. მიაღწია 159.268 ათას მანეთამდე, ანუ მოიმატა 132.242 ათ. მან. ე. ი. გაიზარდა 489 პროცენტით.

როგორც ვთქვი ზევით, ეს ზრდა უფრო ჩქარი ტემპით ხდება 1927-28 წლიდან, როგორც ამას გვიჩვენებს ზევით მოყვანილი ცხრილი. ამასთან ერთად მეტად საყურადღებოა ჩვენთვის, თუ როგორ იყოფა ეს პროდუქცია სხვადასხვა სექტორს შორის.

სოფ. მეურნეობის და მრეწველობის საერთო პროდუქცია ათას მანეთებში 1926/27 წ. უცვლელ ფასებში

დარგნი	1925—26 აბს. ციფრ. ათ. მან.	1925—26 ხვედრითი წონა	1926—27		1927—28		1028—29		1929—30	
მსხვილი და წვრილი მრეწველობა .	94.660,0	27,0	103.966,0	27,7	142.100	35,0	187,900	42,4	252,800	44,6
ერთად (გარდა ტყის მრეწველობისა) სოფ მეურნეობა . .	256.138,7	73,0	275.497,8	72,7	264,7	65,0	255,500	57,6	313,900	55,4
სულ . .	350.798,7	100,0	379.463,8	100,0	406,800	100,0	443.400	100	566,700	100

ცენზიანი მრეწველობის პროდუქცია პროცენტულად სექტორებში:

წლები	სახელმწიფო	კოოპერ.	სახ. და კოოპ. ერთად	კერძო და საკონც.	სულ
1925—26	78,9	7,1	86,0	14,0	100
1926—27	80,8	7,1	78,9	12,1	100
1927—28	84,9	9,3	94,2	5,8	100
1928—29	90,2	9,2	99,4	0,6	100
1929—30	92,4	7,5	99,9	0,1	100

აქ იქცევს ჩვენ ყურადღებას ორი გარემოება: 1) 25-26—27-28 წლებში შედარებით საკმარისად დიდ როლს თამაშობდა საქართველოს მრეწველობაში კერძო და საკონცესიო წარმოება; აქ ლაპარაკია განსაკუთრებით თითქმის მხოლოდ მარგანეცის საკონცესიო წარმოებაზე, რომელიც გადაცემული იყო ამერიკ. კაპიტალისტ ჰარიმანზე. იმავე დროს ამ საკონცესიო წარმოების როლი, მთელი სახ. და კოოპ. წარმოების შეუჩერებელი და ჩქარი ტემპით ზრდის მეოხებით, თანდათან და საგრძნობლად მცირდებოდა. 2) როგორც კი კონცესია შეწყდა, კერძო სექტორის როლი მრეწველობაში სრულ არარაობაზე დავიდა, ასე რომ 1929-30 წელს კერძო სექტორის მონაწილეობა აქ გამოიხატებოდა მხოლოდ 0,1 პროც. თუ ავიღებთ

ნიადაგის გაუმჯობესება, და, მაშასადამე, მოსავლიანობის აწევას; ბ) სხვადასხვა მელიორატიულ ღონისძიებებმა საანგარიშო პერიოდში კიდევ ვერ გამოიღეს ნაყოფი, გ) გარდა ამისა სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობა უმთავრესად აიხსნება იმით, რომ ჩვენ სოფლის მეურნეობაში მაღალ ტეხნიკურ და

ობა იმავე წლებში გამოიხატებოდა შემდეგ პროცენტებში: 73,0 და 55,4. ამნაირად თანდათან და ჩქარი ნაბიჯით ვუახლოვდებით იმ დროს, როცა სახალხო მეურნეობაში მრეწველობა დაიჭერს უპირატეს ადგილს როგორც აბსოლუტურად, ისე შედარებითაც ეს დრო შორს არ არის.

კაპიტალური დაბანდებანი

ახლა მოვიყვან აქ ცნობებს იმის შესახებ, თუ რა კაპიტალურ დაბანდებებს ქონდა ადგილი ჩვენს სახალხო მეურნეობაში გასული წლების განმავლობაში. ეს მოცემულია შემდეგ ცხრილში:

წლები	დაბანდებანი: ჯამი ათ. მან.	დაბანდებანი: ზრდა %% წინა წელთან შედ.	დაბანდ. სოფ. მეურნ. ათ. მან.: ჯამი	დაბანდ. სოფ. მეურნ.: ზრდა %% წინა წელ. თან შედ.	სულ: ჯამი	სულ: ზრდა %% წინა წელთან შედ.
1923/24	239,0	—	—	—	—	—
1924/25	1207,2	405,1	3657,3	—	4.864,5	—
1925/26	4357,2	260,9	4123,4	12,7	8.480,6	74,3
1926/27	8641,2	98,3	7467.3	81,1	16.108,5	89,9
1927/28	15513,0	79,5	13318,2	78,3	28.831,2	79,0
1928/29	26559,0	71,2	18406,9	38,2	44.965,9	56,0
1929/30	55309,7	108,3	36596,5	98,8	91.906,2	104,4

ამგვარად, 1924-25 წ. მრეწველობაში დაბანდებული იყო 1.207,2 ათასი მან., სოფლის მეურნეობაში კი—3.657,3 ათასი მან. 1929-30 წელს მრეწველობაში დაბანდებული იყო 55.309,7 ათასი მანეთი. მაშასადამე, 1929-30 წ. დაბანდება მრეწველობაში, 1924-25 წელთან შედარებით, იზრდება 4.500 პროცენტით. სოფლის მეურნეობაში 1929-30 წ. დაბანდებული იყო 36.596,5 ათასი მანეთი, 1924-25 წელს კი, როგორც ვსთქვით, სამნახევარ მილიონზე მეტი. ზრდა მეტად თვალსაჩინოა.

როგორც იცით, ამხანაგებო, მრეწველობა იყოფა ორ დიდ დარგად. არის დარგი, რომელიც ამზადებს განსაკუთრებით წარმოების საშუალებებს, მანქანა-იარაღებს. მეორე დარგი—ეს არის ის დარგი, რომელიც განსაკუთრებით ამზადებს უშუალო მოხმარების სა-

თვითღირებულების შემცირება 1929-30 წ. 16,1 პროცენტით.

შრომის ნაყოფიერება 1928-29 წელს გაიზარდა 126,4 პროცენტით, 1929-30 წელს კი —122,7 პროცენტით.

საინტერესოა, თუ როგორია ხვედრითი წონა ამ ორ ჯგუფს შორის. 1923-24 წელს პირველი ჯგუფის („ა") ხვედრითი წონა უდრიდა 46,2 პროცენტს, ხოლო მეორე ჯგუფის—53,8 პროცენტს; 1929-30 წელს პირველი ჯგუფის ხვედრითი წონა იყო 52,2 პროც., ხოლო მეორე ჯგუფისა—47,8 პროცენტი. მაშასადამე, აქ აშკარად ჩანს პირველი ჯგუფის პროდუქციის გადიდების ტენდენცია.

ზემოაღნიშნული მაჩვენებლების შესახებ მე მაქვს კიდევ შემდეგი ციფრები, რომელიც შეეხება სმუს-ის ხაზით გაერთიანებული

ულის ფაბრიკა, მეორე კი—აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა. აი, ამ ორი წარმოების პროდუქციამ მოგვცა ასეთი დიდი პროცენტი.

ახლა ვნახოთ, როგორი მაჩვენებლები გვაქვს ხარისხობრივ, ე. ი. შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და თვითღირებულების შემცირების დარგში.

ჯგუფი „ა" 5 წლედის პირველ წელს იძლევა წარმოებაში ჩაბმული მუშების რიცხვის ზრდას 178,2 პროცენტით. შრომის ნაყოფიერება იზრდება ასე: 1928-29 წელს, წინა წელთან შედარებით,—121,4 პროცენტით, ხოლო 1929-30 წელს—120,6 პროცენტით. თვითღირებულებამ 1928-29 წელს იკლო 9,3 პროცენტით, ხოლო 1929-30—1,9 პროცენტით. მსუბუქ მრეწველობაში გვაქვს

წინებს. მაგალითად 1929-30 წლისათვის თვითღირებულება საკონტროლო ციფრებით უნდა დაკლებულიყო 11 პროცენტით, 1928-29 წელს კი—9 პროცენტით. როგორც ვხედავთ, ეს დავალება ვერ შევასრულეთ.

შრომის ნაყოფიერების ზრდის შესახებ მაქვს უფრო დაწვრილებითი ცნობები. 1928-29 წელს შრომის ნაყოფიერებამ იმატა 29.4 პროცენტით 1929-30 წელს კი—21 პროცენტით.

ამხანაგებო, შეუძლებელია მრეწველობის თვითეულ დარგზე შევჩერდე, თუმცა ეს მეტად საინტერესოა. სათანადო ცნობები ცალკე დარგების შესახებ მოთავსებულია ჩვენს მიერ გამოცემულ საანგარიშო მასალებში, რომელიც თქვენ უეჭველად მიიღეთ.

მიღწევები ელექტროფიკაციის დარგში

მრეწველობასთან მჭიდროთ დაკავშირებულია ელექტრომშენებლობა, რომელშიაც ჩვენ უდიდესი მიღწევები გვაქვს. სამწუხაროდ, ჩვენ არა გვაქვს მთლად სწორი ცნობები ამ დარგის პროდუქციის და დაბანდებების შესახებ. ყოველ შემთხვევაში ჩვენის ცნობებით მთელი პროდუქცია ელექტროსადგურებისა (განსაკუთრებით აქ ორი სადგური გვაქვს მხედველობაში: ზაჰესი და აბაშის ჰიდრო-ელექტრონული სადგური) მანეთებში გამოხატული, უდრიდა 1927-28 წ. 2 მილ. 956 ათას მანეთს, ხოლო 1929-30 წელს 4.932.000 მან. ზრდა ამ ორი წლის განმავლობაში უდრის თითქმის 70 პროც. კაპიტალური დაბანდებანი ელექტრო-სად-

უნდა მოგახსენოთ, რომ მიუხედავად ასეთი დიდი მშენებლობისა, ყველა აღნიშნული სადგურების დამთავრების შემდეგაც ჩვენ გამოყენებული გვექნება საქართველოს წყლის ენერგიის მარაგის დიდი-დიდი 10 პროც.

სით უნდა გვეჭიროს ჩვენ გეზი მრეწველობის განვითარების საქმეში? საქართველოს კომპარტიის მე-7 ყრილობის დადგენილებაში სხვათა შორის ნათქვამია: „ყრილობას საჭიროდ მიაჩნია უფრო ენერგიულად გაიშალოს ელექტრო მშენებლობა, ქიმიური და სამთო მოპოვებითი მრეწველობა (ქვანახშირი, მარგანეცი, ნავთი და სხვა), გაძლიერებულ იქნეს სამთო საგამომკვლევო-

გასულ წელს წარმოებულმა საგამომკვლევო მუშაობამ ბევრ ადგილას აღმოაჩინა ნავთის არსებობის ნიშნები. საბჭოთა ხელისუფლება მთელი ენერგიით განაგრძობს საძიებო მუშაობას იმისათვის, რომ საბოლოოდ გამოაშკარავოს ჩვენი ქვეყნის ყველა შესაძლებლობა ნავთის მრეწველობის საქმეში.

არ შეიძლება განსაკუთრებით არ აღინიშნოს ფერო-მარგანეცის ქარხანა, რომელიც პირველი მეტალურგიული ქარხანაა მთელ ამიერ-კავკასიაში. ეს ქარხანა მოწყობილ იქნება ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. ჩვენი მრეწველობის ამ გიგანტმა უდიდესი როლი უნდა ითამაშოს ქვეყნის ეკონომიკაში.

ჩვენ მრეწველობაში ჩნდება კიდევ ახალი დარგი,—ეს არის კასპის ცემენტი. კასპის ქარხანა—ეს გიგანტური ქარხანაა მთელს კავშირში. ესეც ჩვენი მრეწველობის ერთი-ერთი ბურჯი იქნება.

უკანასკნელ წლებში დიდი ყურადღება ექცევა აგრეთვე თევზის მრეწველობას. ერთი წელია დაახლოვებით, რაც არსებობს ცალკე ტრესტი „საქართველოს თევზი". ამ ტრესტის მუშაობამ ჯერ-ჯერობით საგრძნობი შედეგი ვერ მოგვცა, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ყველა ის ცნობები, რაც ჩვენს განკარგულებაშია, ნათლად მოწმობს იმას, რომ თევზის მრეწველობას ჩვენში დიდი პერსპექტივები აქვს.

სოფლის მეურნეობა გამოვიდა ჩამორჩენილობიდან

რამდენიმეთ უნდა შევეხო სოფლის მეურნეობის დახასიათებას, თუმცა სოფლის მეურნეობის შესახებ ცალკე იქნება აქ მოხსენება, მაგრამ მე მაინც საჭიროთ მიმაჩნია შევჩერდე ამ საკითხზე. სოფლის მეურნეობას, როგორც იცით, დასჭირდა შედარებით მეტი დრო, სანამ ის თავს დააღწევდა ჩამორჩენილობას. რა ახასიათებდა აქამდე ჩვენს სოფლის მეურნეობას: ნიადაგის გამოფიტვა, დაბალი ტეხნიკური ბაზა, სახნისი, 8-9 უღელი კამეჩი გაბმული ხვნის დროს, დაქუცმაცებული მიწათსარგებლობა, ძვირფასი ტეხნიკური კულტურების განუვითარებლობა; აქედან მოუსავლიანობა ან დაბალი მოსავლიანობა და სხვ.

უნდა მოგახსენოთ, რომ ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ჩვენ გადამწყვეტი ნაბიჯები გადავდგით სოფლის მეურნეობის დარგში. შეიძლება ითქვას, რომ სოფლის მეურნეობაში არსებითი ცვლილებანი გვაქვს. 1931 წლის საკონტროლო ციფრების განხორციელებით, როდესაც სოფლის მეურნეობაში ფართოდ გავრცელდება მანქანა-იარაღები და ტრაქტორები, როდესაც განვითარდება და განმტკიცდება საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობანი, ჩვენ გვექნება ნამდვილი რევოლუცია სოფლის მეურნეობაში. დროა ამხანაგებო, დავაღწიოთ სახნისს სამუდამოდ, ეს სახნისი კიდევ არსებობს ჩვენი სოფლების სინამდვილეში. მე ვფიქრობ, 5 წლედის დამთავრებამდე ჩვენ შევძლებთ სახნისისაგან სავსებით თავის განთავისუფლებას.

მე უკვე მოგახსენეთ, ამხანაგებო, თუ რა დაბანდებანი გვაქვს სოფლის მეურნეობა-

ცველებთ ყველა იმ ღონისძიებებს, რაც ამ მიმართულებით დასახული გვაქვს. სამწუხაროთ უნდა ვაღიაროთ, რომ მოსავლიანობის გადიდების მხრივ მაინცდამაინც დიდი მიღწევები არა გვაქვს. პურს ჩვენ ვიღებთ საბჭოთა რუსეთიდან და უკრაინიდან. 1928-29 წელს, როცა დასავლეთ საქართველოში დიდი მოუსავლიანობა იყო, საბჭოთა რუსეთიდან და უკრაინიდან შემოგვიტანია 8.881.980 ფუთი მარცვლეული, 1930 წელს კი 18.426.400 ფუთი.

მე არ შევჩერდები ამხანაგებო, მებაღჩეობა-მებოსტნეობაზე, თუმცა ყველა თქვენგანმა კარგათ იცით, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ დარგს სახალხო კვების საქმეში.

თქვენი ყურადღება განსაკუთრებით უნდა შევაჩერო ნათესი ბალახების კულტურაზე. ეს დარგი რასაკვირველია, ჩვენში დღემდე არ არსებობდა. ბალახი თუ მოდიოდა, მოთიბავდენ მხოლოთ და ამით თავდებოდა ყველაფერი. მხოლოდ ეხლა იწყება ნათესი ბალახის საქმის განვითარება. სამწუხაროთ უნდა მოგახსენოთ, რომ ამ კულტურის გავრცელება ჩვენში მეტად საძნელო გამოდგა, უმთავრესად იმის გამო, რომ მას წინ ელობება სათესლე მასალის უქონლობა, აი, ამ ორი წლის განმავლობაში ჩვენ ვიბრძვით ნათესი ბალახის საქმის წარმატებისათვის, 1931 წლისათვის საკონტროლო ციფრებით ნათესი ბალახის ფართობი გათვალისწინებულია 44,6 ათასი ჰექტარი. ყველაზე უფრო საჭირო საქმეს ჩვენს საკონტროლო ციფრებში სოფლის მეურნეობის მიმართ სწორედ ნათესი ბალახის კულტურა წარმოადგენს, შეიძლება თუ არა აღნიშნული ფარ-

უკანასკნელი წლისათვის იყო ნავარაუდევი. საკონტროლო ციფრების მიხედვით ყველა კულტურების ნათესი ფართობი გვექნება ერთი მილიონი და 31 ათასი ჰექტარი, მაშინ, როდესაც 5-წლიანი გეგმით უკანასკნელი წლისათვის გათვალისწინებული მხოლოდ 1.001.000 ჰექტარი. რასაკვირველია, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შევსძლებთ ჩვენ იმ პროგრამის შესრულებას, რაც მოცემულია 31 წლის საკონტროლო ციფრებით.

ამხანაგებო, ერთ გარემოებას უნდა მივაქციოთ ყურადღება. როგორც მოგახსენეთ, ჩვენი სოფლის მეურნეობის ბედი დამოკიდებული იყო მარცვლეული კულტურების გავრცელებაზე, მაშინ, როდესაც საქართველოში მეტად ხელსაყრელი პირობებია ძვირფასი ტეხნიკური კულტურების განვითარებისათვის. აი რა სავალალო სურათი იყო ამ მხრივ ჩვენში: 1928 წელს მარცვლეული კულტურების ფართობი პროცენტულად უდრიდა 95,9 პროც., ტეხნიკური კულტურების ფართობი კი—2,3 პროც. შემდეგ წლებში ტეხნიკური კულტურების ხვედრითი წონა თანდათან იზრდება, მაგრამ გარდატეხა ამ მხრივ ჯერ კიდევ არ მომხდარა. ეს გარდატეხა უნდა მოხდეს მხოლოდ 1931 წელში, როცა ტეხნიკური კულტურების ხვედრითი წონა 14,8 პროც. მაგრამ ეს არ არის დამაკმაყოფილებელი, ეს არ არის ის, რის მოცემაც შეუძლიან საქართველოს პირობებს. აქ უნდა გამოვიჩინოთ ბოლშევიკური მხნეობა, რათა ეს ძვირფასი კულტურები მაქსიმალურად განვავითაროთ. რასა-

ველობა ყველასათვის აშკარაა. აქამდე ჩვენ დამოკიდებული ვიყავით უცხოეთზე, ვალიუტაზე და სხვ. შარშან უკვე დაიწყო მუშაობა სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანამ, თუმცა არა სრული დატვირთვით. ამ წლიდან კი დაიწყებს მუშაობას ხარკოვის სატრაქტორო ქარხანა; პუტილოვის ქარხანა და აგრეთვე სტალინგრადის ქარხანაც. თვალსაჩინოდ გაადიდებს ტრაქტორების გამოშვებას, ამიტომ ჩვენ იმედი გვაქვს, რომ თუ წელს არა, მომავალ წელში მაინც ტრაქტორების რაოდენობა საქართველოშიაც თვალსაჩინოდ იმატებს. წელს კი საქართველოში დაახლოვებით იქნება 674 ტრაქტორი. თუ რამდენად იქნება გამოყენებული და დატვირთული აღნიშნული ტრაქტორები, ეს რა თქმა უნდა დამოკიდებულია იმ ორგანოებზე, რომლებიც ამ საქმეს სათავეში უდგანან და აგრეთვე ყველა ადგილობრივ სარაიონო ორგანოზედაც. წელს იმუშავებს ჩვენში 6 სატრაქტორო სადგური, გარდა იმ სადგურებისა, რაც საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების განკარგულებაში იქნება.

ორიოდე სიტყვით შევჩერდები წყალთა მეურნეობაზე, რომელიც მჭიდროთ დაკავშირებულია ჩვენი სოფლის მეურნეობასთან, ამ ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში ამუშავდა ტირიფონის არხი და ალაზნის არხი. პირველმა მოგვცა 16.500 ჰექტარი, მეორემ ჯერ-ჯერობით 10.000 ჰექტარი. ხუთწლიანი გეგმით ამ წლების განმავლობაში უნდა ყოფილიყო სამელიორაციო ფართობი 52,3 ათსი ჰექტარი. ეს დავალე-

კოოპერაციის მუშაობა უნდა გაუმჯობესდეს

ბული იყო 1760 სავაჭრო წერტი. მაშასადამე ჩვენ აქ თვალსაჩინოდ გადავაჭარბეთ. ქალაქებზე აქედან მოდის 1655 სავაჭრო პუნქტი, სოფლებზე კი 1045. რასაკვირველია, ამხანაგებო, ეს ყოვლად დაუშვებელია. სავაჭრო წერტების რიცხვი სოფლებზე მეტი უნდა მოდიოდეს ,ვიდრე ქალაქებზე. ეს მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს. ორი წლის წინად თვითეულ კოოპერატივზე მოდიოდა 15000 სული, ხოლო ერთ სავაჭრო წერტზე- ორი ათასი სული. 1930 წელს ეს სურათი შემდეგნაირად იცვლება: თვითეულ კოოპერატივზე მოდის 13.000 და სავაჭრო წერტზე კი 1,300 სული. კოოპერაციაში 1930 წელს გაერთიანებული იყო 846.600 წევრი, წინააღმდეგ 322,400 წევრისა. 1928 წ. როგორც ჩანს 5 წლედის პირველი ორ წელიწადში შესრულებული იქნა არა მარტო 1928-29 წლის საკონტროლო ციფრები, რომელიც ითვალისწინებდა წევრთა ზრდას 466.300-ით, არამედ 5 წლ.

საჩინო მიღწევები აქვს. რაც შეეხება საერთოდ კოოპერაციის მუშაობას, თუ რამდენათ შეფარდებულია ეს მუშაობა სოფლისა და ქალაქის მოთხოვნილებებთან, რამდენათ აკმაყოფილებს კოოპერაცია მოსახლეობას მომარაგებისა და განაწილების მხრივ და სხვ. ჯერ კიდევ ბევრი დეფექტები გვაქვს; ამ მხრივ ბევრი რამ არის გასაკეთებელი და დიდი მუშაობა უნდა იქნეს ჩატარებული, რომ ყველა ის დეფექტები, რაც კოოპერაციას აქვს გამოსწორებული იქნეს.

მთელი სახ.-სამეურნეო კოოპერაცია, ამხანაგებო, წინათ გაერთიანებული იყო ერთ ორგანიზაციაში. ეხლა იგი სხვა სახით არსებობს; იქ მოხდა დიდი რეორგანიზაცია. ეს კოოპერაცია დაყოფილია სხვადასხვა დარგებად; არის სულ 4 დარგი: მემინდვრეობის კავშირი, სპეციალურ ტეხნიკურ კულტურათა კავშირი, მეცხოველეობის კავში-

(გაგრძელება იხ. მე-2 გვერდზე)

დღეს, 19 თებერვალს, საღამოს, 5 საათზე,
სახალხო წითელ დარბაზში შესდგება
ყრილობის კონფერენციის სხდომა
ყრილობის მორიგი სხდომა გაიხსნება საღამოს 6 საათზე
სახ. ოპერის თეატრში.

რი და მეხილეობა-მევენახეობის კავშირი. ამ კავშირებში თავს იყრის მთელი სოფლის მეურნეობა.

ძირითადი ქსელის მდგომარეობა ასეთია: ყველა სახის ამხანაგობათა რიცხვი 1927 წელს იყო 327, 1928 წელს—383 და 1929 წელს—391. წევრთა რაოდენობა 1928 წელს იყო 198.860, 1929 წელს—286.935, მატება უდრის 44,3 პროცენტს.

მე ამ საკითხზე დიდხანს არ შევჩერდები, მხოლოდ უნდა მოგახსენოთ, რომ აღნიშნულ კავშირებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მათ ხელშია დღეს არსებითად სოფლის მეურნეობის და ქალაქის მომარაგების საქმე. მათ ხელშია მთელი საკვები მასალის მომარაგება და სხვა. გარდა ამისა, მათ ხელშია სოფლის მეურნეობის პროდუქცია. ესენი ადევნებენ თვალყურს სოფლის მეურნეობის განვითარებას. ასე, რომ მიწათმოქმედების კომისარიატთან ერთად ეს კავშირები წარმოადგენენ უდიდეს ფაქტორს სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში. მაგრამ ვერ დავიკვეხნით რომ აღნიშნული კავშირები სავსებით დამაკმაყოფილებლად მუშაობდნენ. მათი საქმიანობის გაშლას ხელი შეუშალა ხშირმა რეორგანიზაციამ და სხვა.

ახლა მოკლედ შევჩერდები სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებაზე. მე შევეხები მხოლოდ ხორბლის, სოიას, სიმინდის, თამბაქოს და სხვ. დამზადებას.

ამხანაგებო, ჩვენს, დამამზადებელ მუშაობაში არის საერთო ნაკლი და დეფექტები. ამ ხნის განმავლობაში ბევრ დამახინჯებას ჰქონდა ადგილი. იყო როგორიც მემარჯვენე ოპორტუნისტული ისე „მემარცხენე“ გადახრები. თვალსაჩინო როლს თამაშობდა თვითდინება, ბევრი დამამზადებელი ორგანიზაცია სწორედ ამ თვითდინებას ემყარებოდა. რა თქმა უნდა, ამხანაგებო, ყველა ეს აფერხებდა დამზადების საქმეს. ამავე დროს სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებას უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა, რატომ? იმიტომ, რომ, წინათ ამ პროდუქტებს კერძო ჩარჩების საშუალებით ვღებულობდით, დღეს კი ისინი განდევნილი არიან და დამზადების მთელი საქმე კოოპერაციის ხელშია.

რასაკვირველია, კერძო პირს დიდი გამოცდილება და უნარი ჰქონდა ამ საქმეში. ეს ყველასათვის აშკარაა. ჩვენი ორგანოები ჯერ [illegible] თანხნობას და საქმის ცოდნას ვერ იჩენენ. მათ აკლიათ საჭირო გამოცდილება, ხშირად ისინი იყენებენ იმათ ხალხს, რომლებიც ჩვენი მტრები არიან და რომლებიც განზრახ ჰქმნიან სხვადასხვა დაბრკოლებას, განზრახ სჩადიან სხვადასხვაგვარ გადახრას, რომ ამით გამოიწვიონ გლეხობის აღშფოთება. აი ამხანაგებო, ყოველივე ამას ჩვენ უნდა დავაღწიოთ თავი. არ უნდა დავივიწყოთ, რომ სოციალიზმის შენება არის დამზადება და შერე განაწილება. თუ ჩვენ ვერ დავამზადეთ, გასანაწილებელიც არაფერი გვექნება.

როგორც აღვნიშნე, ჩვენ აქ დიდი გამოცდილება ჯერ-ჯერობით არა გვაქვს. მხოლოდ ორი წელიწადია, რაც ჩვენში დამზადებები სერიოზულად სწარმოებს. გასულ წელს პურისა და ქერის დამზადების გეგმა ჩვენ შევასრულეთ 99,6 პროც. მაგრამ აქ დასაკვეხნი არაფერი გვაქვს, რადგან ამ დამზადებას ვახდენდით გადაჭარბებული დასაქონლებით. მაშინ, როცა საქონლის მიწოდების ნორმა დაწესებული იყო 80-85 პრ., რაოდენობით. ჩვენმა ამხანაგებმა (ამას სამომხმარებლო კოოპერაციამაც შეუწყო ხელი) გადააჭარბეს ამ ნორმას და თითქმის 100 პროც. აწარმოებდნენ საქონლის მიცემას. რასაკვირველია, ეს დანაშაული იყო, ამისათვის ჩვენ პასუხისგებაშიაც მივეცით ზოგიერთები. მაგრამ თუ ავიღებთ ჩვენ სათანადო სისხს დაბრუნებას და ამას საერთო დამზადებას მივუმატებთ, მაშინ სურათი იცვლება, მაშინ გეგმა შესრულებული გამოდის მხოლოდ 94,4 პროც.

მე გადავდივარ სხვა დამზადებებზე. ავიღოთ სიმინდის დამზადება. უკანასკნელი ციფრების მიხედვით 10 თებერვლისათვის ჩვენ გვაქვს ასეთი სურათი: მთელს საქართველოში დამზადებულია გეგმით გათვალისწინებული რაოდენობის 78,7 პროც., ალბათ აქაც პროგრამა ამ ცოტა ხანში იქნება შესრულებული.

ამ უკანასკნელ დროს სწარმოებს პირუტყვის დამზადება, რომ ბევრი არ გავაგრძელო ვიტყვი, რომ ათი თებერვლისათვის ჩვენ გვაქვს დამზადება მთელს რესპუბლიკაში 40,2 პროც. რაოდენობით. შეიძლება აქ შეცდომა იყოს, შეიძლება ვერ მომცეს სწორი ცნობა; ამას აშკარად ვხედავთ, აქ ალებული უნდა იყოს, როგორც სჩანს, მხოლოდ თებერვლის გეგმა და არა წინა თვეების, ყოველ შემთხვევაში ჩვენ სხვა ცნობა არ მოგვეპოვება.

მატყლის დამზადება შესრულებული 79,6 პროც. მაგრამ ის, რაშიაც ჩვენ სამარცხვინოთ ჩამოვრჩით, არის, ამხანაგებო, ბამბის დამზადება. აქ ჩვენ, რომ იტყვიან, ჩავიჭერით. ბამბის დამზადებას წინ უსწრებდა მთელი რიგი შეცდომები და არა თუ შეცდომები, არამედ პირდაპირ დანაშაულებრივი მოქმედება. ამის შედეგად ჩვენ დიდი ვაივაგლახით მივიღეთ მხოლოდ 84,42 პრ. გეგმისა, ეს ამხანაგებო, უდიდესი ნაკლია, რომელიც მომავალში თავიდან უნდა ავიცილოთ.

რა მდგომარეობა გვაქვს სოიას დამზადების მხრივ? დღემდე, ე. ი. 10 თებერვლამდე, გეგმის შესრულება გვაქვს 66,7 პროც.

ეხლა გადმოგცემ საბოლოო ციფრები თამბაქოს დამზადების შესახებ. 1929 წელს გეგმა შესრულებულია 92,1 პროც., ხოლო 1930 წელს მხოლოდ 84,9 პროც. ესეც რასაკვირველია, არ არის დამაკმაყოფილებელი.

ამხანაგებო, ერთ გარემოებას უნდა მივაქციოთ თქვენი ყურადღება, რათა ვიცოდეთ, თუ რა მდგომარეობაშია ხუთწლიანი გეგმის 4 წელიწადში შესრულების საქმე. რას ვისახავდით ჩვენ 5-წლიანი გეგმით, მაგ., უმუშევრობის დარგში? ჩვენ ვამბობდით, რომ უმუშევრობა შემცირდება 5 წლიდის ბოლოს 54 პროც. საერთოდ კავშირში და ჩვენში კი, სახელმწიფო საგეგმო კომისიის გამოანგარიშებით 30 პროც. ეხლა უმუშევრობა, როგორც ასეთი, ჩვენში მოსპობილია. როგორ უნდა გავიგოთ ეს? იმას კი არ ნიშნავს, რომ ყველა მოქალაქე, ვისაც მუშაობა სურს ჩაბმული იყოს მუშაობაში. არა, ასე არ უნდა გავიგოთ. მე წინათაც ვამბობდი, რომ ჩვენს უმუშევრებში დიდ პროცენტს შეადგენენ ისეთები, რომელთაც წინათ არასოდეს არ უმუშავნიათ მეფისა და მენშევიკების დროს და მხოლოდ ეხლა, როდესაც დაიწყო შრომის სამეფო, აღიძრათ სურვილი მუშაობისა. ამიტომ ჩვენში უმუშევრობას ის სახე არ ჰქონდა, რომელიც აქვს კაპიტალისტურ ქვეყნებში.

ეხლაც არიან ჩვენში უმუშევრები, მაგრამ ვინ არიან ესენი? დიდი უმეტესობა ქალებია. ისინი იმ პირთა ოჯახის წევრები არიან, რომლებიც მუშაობენ, მაგრამ ამ ქალებსაც სურთ ჩაებან მუშაობაში. შეიძლება მათ უმუშევრები ვუწოდოთ იმ მნიშვნელობით, როგორც დახავლეთ ევროპის ქვეყნებში? რასაკვირველია, არა. მაგალითად, ჩვენს უმუშევარ ქალებს რომ უთხრათ, თბილისის გარეთ, პროვინციაში წასვლა, არ წავლენ სამუშაოდ. უმუშევართა რიცხვში შეტანილია აგრეთვე სასეზონო მუშები, მოხუცებულები, ავადმყოფები, რომელთაც ფიზიკური შრომა აკრძალული აქვთ და სხვ.

ავიღოთ ეხლა სოფლის მეურნეობის მექანიზაცია. ჩვენი ვარაუდით 5 წლიდის ბოლოს სოფლის მეურნეობა 50 პროც. უნდა ყოფილიყო დაკმაყოფილებული სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებით. რასაკვირველია, ჩვენ უკვე გადავაჭარბეთ ამ პროცენტს. ტრაქტორების რიცხვი 5-წლ. გეგმით გათვალისწინებული იყო სოფლის მეურნეობისათვის 100 ცალი. ეს, რასაკვირველია, დღეს უკვე სრულიად საკმარისი აღარ არის, ჩვენ უკვე გადავლახეთ ეს რიცხვი და დღეს ბევრად მეტი (674) ტრაქტორი გვაქვს სოფლის მეურნეობაში.

კოოპერაციის დარგში, როგორც მოგახსენებთ, ჩვენ უკვე გადავაჭარბეთ 5-წლიან გეგმას.

როგორც ვხედავთ, ამხანაგებო, ხუთწლიანი გეგმა მრავალ დარგში დღეს უკვე შესრულებულია, ზოგიერთში კი გადაჭარბებულიც. ეს სრულ საფუძველს გვაძლევს ვსთქვათ, რომ ხუთწლიანი გეგმა სავსებით შესრულებული იქნება ოთხ წელიწადში, ხოლო ზოგიერთ დარგში ბევრად უფრო ადრე.

მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო კიდევ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაზე. არის, ამხანაგებო იმის ნიშნები, რომ პროდუქციის გადიდებას მისი ხარისხი არ ეთანხმება, რომ ეს ხარისხი რამდენიმეთ უარესდება. ეს კი დაუშვებელი მოვლენაა.

ადგილობრივი მრეწველობის შესახებ, სამწუხაროდ, ცნობები ცოტა გვაქვს. არის ცნობები ქუთაისიდან, თუ რა და რა ქარხანა არსებობს იქ, მაგრამ როგორია ამ ქარხნების პროდუქცია, ამაზე არაფერი ვიცით. თბილისის ადგილობრივი მრეწველობის საერთო პროდუქცია 1928-29 წ. უდრის 4.743,4 ათას მანეთს, 1929-30 წელს კი—6.296,5 ათას მან. ცხადია ადგილობრივ მრეწველობის ყურადღება ექცეოდა, მაგრამ აღნიშნული ზრდა საკმარისი არ არის.

კომუნალური მეურნეობა, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენში თითქმის უპატრონოდ არის მიტოვებული. წელს მოეწყობა ორგანიზაცია, რომელიც უშუალოდ უხელმძღვანელებს კომუნალურ მეურნეობას. ამ მეურნეობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მცხოვრებთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების საქმეში, როგორც სოფლად, ისე ქალაქად. ჩვენ გვაქვს ცნობები 1926-27 წ. შესახებ. როგორი იყო კაპიტალური დაბანდებანი კომუნალურ მეურნეობაში? ეს დაბანდება საერთოდ თვალსაჩინოდ იზრდება, განსაკუთრებით 1929-30 წ. 1931 წლისათვის გათვალისწინებულია 17.322,0 ათასი მან. მე ვფიქრობ, რომ მომავალში ამას სათანადო ყურადღება მიექცევა.

არის კიდევ მრეწველობის ერთი დარგი, რომელზედაც დღეს ამხ. ყურულიშვილმა ილაპარაკა,—ეს არის ხარეწაო კავშირი—შინამრეწველობა. ეს დარგი იმით არის საყურადღებო, რომ აქ დიდი დაბანდება არ არის საჭირო. აქ ცოტა დაბანდებას მოაქვს დიდი ეფექტი. ხარეწაო კავშირი საკმაოდ დიდი რაოდენობის პროდუქციას იძლევა. მოვიყვან შემდეგ ცნობებს:

1928-29 წლისათვის ხუთწლიანი გეგმით ნავარაუდევი იყო პროდუქცია 20.451,1 ათასი მანეთის რაოდენობისა, ფაქტიურად პროდუქციის ღირებულება აღწევს 25 მილიონს მან. 1929-30 წლისათვის ნავარაუდევი იყო თითქმის 29 მილიონი მანეთის პროდუქციის დამზადება, ფაქტიურად დამზადებული იქნა 38.291.700 მან. პროდუქცია. 1931 წლისათვის ნავარაუდევია პროდუქცია თითქმის ასი მილიონი მანეთის ღირებულებისა. ამასთანავე უდიდესი ნაწილი შინამრეწველების გაერთიანებული იქნებიან სარეწაო კავშირში. მთელი პროდუქცია გადადის კოოპერაციისა და სახელმწიფო ორგანოების ხელში.

მუშათა მდგომარეობა განუწყვეტლივ უმჯობესდება

რამოდენიმე სიტყვა მუშათა მომარაგების შესახებ. სამუშაო ხელფასი ამ ხნის განმავლობაში თანდათან მაღლა იწევდა. იგი საშუალოდ 9-10 პრ. გაიზარდა, ზოგ დარგში უფრო მეტად, ზოგში კი უფრო ნაკლებად. ერთი გარემოება უნდა აღვნიშნოთ აქ, ამხანაგებო, შრომის ნაყოფიერებისა და ხელფასის გადიდების შორის ზოგიერთ შემთხვევაში არ იყო თანაბრობა. ხშირად შრომის ნაყოფიერება ან დაბლა იწევდა ან ერთ დონეზე იდგა, მაგრამ ამავე დროს შრომის ხელფასი იზრდებოდა, რა თქმა უნდა ეს მდგომარეობა მომავალში უნდა შეიცვალოს.

სამუშაო დროს ახასიათებს შემდეგი ციფრები: განუწყვეტლივ საწარმოო კვირაზე 18.723 მუშიდან გადაყვანილია 13.265 მუშა; შვიდი საათის სამუშაო დღეზე იმავე რიცხვიდან გადაყვანილია 10.505 მუშა.

მე შემიძლია, ამხანაგებო, მოვიყვანო სხვა ცნობები, რომელნიც ნათელჰყოფენ მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამ წელს, 1930-31 წელს სამუშაო ხელფასი უნდა გადიდდეს საერთოდ ერთი პროცენტით, რკინისგზელების კი—8 პროცენტით. სოციალური დაზღვევის ფონდი ამ წელს უნდა გაიზარდოს 1.600.000 მანეთიდან 2.188.000 მანეთამდე. მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდი მთელს კავშირში აღწევს 285.000.000 მანეთს, წინაალმდეგ 125 მილიონ მან. გასულ წელს.

როგორც ხედავთ, ამხანაგებო, მუშათა მდგომარეობა ჩვენში დღითი-დღე უმჯობესდება. პირველი ადგილი მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებაში უჭირავს მუშათა მომარაგებას მოხმარების სხვადასხვა საგნებით. პირველ რიგში, რასაკვირველია, ჩვენში მუშები დგანან. რაც გვაქვს პირველად მუშებს უნდა მივცეთ. ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში პირველ რიგში დგას ბურჟუაზია, შემდეგ მემამულეები და სხვა ბრძანებელი მუქთახორა კლასები. ჩვენს სახელმწიფოში, მართალია, გაჭირვებას ჯერ-ჯერობით ვერ ვაღწევთ თავს, რადგანაც მოთხოვნილება გაცილებით მეტად იზრდება, ვიდრე წარმოება, მაგრამ წარმოებაც როგორც ვხედავთ, ჩქარი ტემპით ვითარდება და მუშათა კლასის მდგომარეობაც თანდათან უმჯობესდება.

რამოდენიმე დამახასიათებელი მაჩვენებელი მინდა მოვიყვანო სწავლა-განათლების შესახებ. სწავლა-განათლების დარგში, რომ უკანასკნელი წელს რადიკალური ცვლილებანი მოხდა, ეს თქვენ უკვე იცით, ავიღოთ საყოველთაო - სავალდებულო სწავლების შემოღება. ეს საქმე უკვე წელს უნდა გადაწყდეს. მხოლოდ ზოგიერთ რაიონებში საყოველთაო - სავალდებულო სწავლება შემოღებული იქნება მომავალ წელს. მაგრამ 80-85 პროცენტით ეს სწავლება წელს გატარდება

თუ როგორ სრულდება საყოველთაო-სავალდებულო სწავლება, ამის შესახებ მოვიყვან ცნობებს ა. წ. 15 იანვრისათვის. ვარაუდით გახსნილი უნდა ყოფილიყო ახალი კომპლექტები 526. ამ რიცხვისათვის გახსნილი იყო 1,115, გადაჭარბება უდრის 111 პროცენტს. ჩაბმული უნდა ყოფილიყო სკოლებში 94.740 ბავში, რომლებიც წინად სკოლაში არ ყოფილან ფაქტიურად. ჩაბმულია 96,711 ბავშვი. გეგმა შესრულებულია 2,1 პროც. გადაჭარბებით. ვერ არის კარგი მდგომარეობა სკოლის ასაკს გადაცილებულ ბავშვთა ჩაბმის დარგში; გეგმა შესრულებული გვაქვს ამ მხრივ მხოლოდ 49 პროცენტით.

1930 წელს აგებულ იქნა 75 ახალი სასკოლო შენობა და რემონტი გაუკეთდა 217 სკოლას. ნავარაუდევია 235 ახალი სასკოლო შენობის აგება და მისი მოწყობა. წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებში, არსებული ცნობებით, უკანასკნელ წელს ჩაბმულია 102.462 წერა-კითხვის უცოდინარი, რაც შეადგენს წერა-კითხვის უცოდინართა მთელი რიცხვის 51,4 პროცენტს. უმთავრეს რაიონებში ჩვენ წელს მოვსპობთ წერა-კითხვის უცოდინარობას.

შევჩერდეთ მოკლედ ჯანმრთელობის საქმეზე. მოვიყვან რამდენიმე ცნობას 1927-28 წ. ჩვენ გვყავდა 22 სანიტარული ექიმი, ამჟამად სულ რესპუბლიკაში გვყავს 61 სანექიმი. ცხადია, რომ ეს არ არის საკმარისი, რადგანაც ხშირად ერთი სანექიმი 3-4 უბანს ემსახურება.

ეპიდემიური სენით დაავადებულთათვის საქართველოში არის 215 საწოლი, 26 ლაბორატორია, და 39 სადეზინფექციო მოწყობილობა.

დასავლეთ საქართველოში არის ერთი ახალი ავადმყოფობა—პელაგრა. ამის წინააღმდეგ სერიოზული ღონისძიებები იყო მიღებული. პელაგრასთან ბრძოლაში ჩაბმულია მთელი სამკურნალო-სანიტარო ძალები. პელაგრით დაავადებულთათვის სხვადასხვა რაიონში გახსნილია 180 საწოლი და 6 საექიმო პუნქტი.

მალარიასთან ბრძოლა, ამხანაგებო თანდათან ძლიერდება. 1927-28 წელს ამ საქმისათვის გადადებული იყო 62.000 მან., 1929-30 წელს კი—326.000 მან. ამჟამად საქართველოში არსებობს 29 დაწესებულება მალარიის წინააღმდეგ საბრძოლველად. ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია 46 ახეთი დაწესებულების მოწყობა.

საქართველოში არსებობს ერთი ტუბინსტიტუტი, ერთი ტუბდისპანსერი, სამი ვენერიული დისპანსერი და 8 ვენ. პუნქტი. ვენერიულ ავადმყოფობასთან საბრძოლველად პროვინციაში სისტემატიურად იგზავნება სპეციალური რაზმები. საანგარიშო პერიოდში გახსნილია 7 ახალი საავადმყოფო; სოფლებში მოწყობილია 32 საექიმო პუნქტი. ქალაქად ერთ საწოლზე საშუალოდ მოდის 276 კაცი, სოფლად კი —

ლოზუნგები

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ათი წლის და წითელი არმიის 13 წლისთავისათვის

1. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს ათი წლის თავს!

2. საქართველოს მშრომელთაგან ძმური სალამი ამიერ-კავკასიისა და საბჭოთა კავშირის მშრომელებს, მთელი მსოფლიოს პროლეტარებს და ჩაგრულ ხალხებს!

3. მხურვალე სალამი მსოფლიო ოქტომბრისთვის მებრძოლებს, კლასობრივ ამხანაგებს, კაპიტალის ტყვეებს, წამებულებს და პატიმრებს, რომელნიც ბურჟუაზიის საპყრობილეებში იტანჯებიან!

4. გაუმარჯოს კომინტერნს—პროლეტარული რევოლიუციის ორგანიზატორს, მსოფლიო ოქტომბრის მებრძოლ შტაბს!

5. საქართველოს მუშებმა და გლეხებმა გმირულად განვლეს რუსეთის ცარიზმთან, მეფის ჯალათებთან, ქართველ თავადაზნაურობასთან, ბურჟუაზიასთან და მის აგენტურასთან—მენშევიზმთან ბრძოლის გზა. გაუმარჯოს ბოლშევიკურ საქართველოს!

6. ნოე ჟორდანია-რამიშვილის მენშევიკური მთავრობის ბატონობის დროს საქართველო საერთაშორისო იმპერიალიზმის კოლონია იყო. მთელი ქვეყანა მოქცეული იყო შიმშილის, სილატაკის და უუფლებობის ბრჭყალებში, იგი მოწამლული იყო შოვინიზმის შხამით და ნაციონალური მტრობით. ზიზღი მუშათა კლასის გამცემლებს და მატყუარებს—ჟორდანიას და კომპანიას!

7. ძირს ბურჟუაზიული დემოკრატია! გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას!

8. ძირს საერთაშორისო იმპერიალიზმის გამყიდველი აგენტები და ლაქიები—ქართველი მენშევიკები!

9. ძირს ქართველი მენშევიკების მოკავშირეები—მუსავატელები, დაშნაკები და სხვა ნაციონალისტები!

10. ჩვენ ზიზღს ვუგზავნით ჟორდანიას, წერეთელს, ჩხეიძეს, ევგ. გეგეჭკორს და საერთაშორისო იმპერიალიზმის სხვა ლაქიებს, რომელნიც თავიანთ ბატონებთან ერთად ამზადებენ ინტერვენციას მსოფლიოში პროლეტარიატის დიქტატურის პირველი ქვეყნის წინააღმდეგ.

11. ძირს კაპიტალისტური აგენტურა მუშათა კლასში—კონტრ-რევოლიუციონური საერთაშორისო მენშევიზმი!

12. ძირს იმპერიალისტების დასაყრდენობი—სოციალ-ფაშისტები!

13. ძირს სოციალ-ფაშისტური მე-2 ინტერნაციონალი და მისი დამქაშები და ფეხის ამყოლნი—მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნისტები!

14. კაპიტალისტები ამზადებენ ახალ იმპერიალისტურ ომებს. ძირს ყაჩაღური ომების დამთესნი!

15. გაუმარჯოს პროლეტარულ რევოლიუციას მთელ მსოფლიოში!

16. ახლოვდება ისტორიული მომენტი, რომელზედაც კარლ მარქსი ამბობდა: „დაჰკრა კაპიტალისტური კერძო საკუთრების საათმა. ხდება ექსპლოატატორების ექსპროპრიაცია“. გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციის მოახლოვებულ უკანასკნელ მრისხანე ტალღას!

17. პაპა და ცერეტელები, კაუცკები და მაკდონალდები, საფრანგეთის რადიკალები, გერმანიის პოლიციელები, კონსერვატორები და სოციალ-ფაშისტები, კომუნიზმის გამცემლები, ოქტომბრის რევოლიუციის მოღალატენი—მისტერ ტროცკი და კომპანია, კაპიტალიზმის ყველა ლოთები და ქოფაკები, სისხლის მსმელი ზუბრები, ძველი სამყაროს ყველა ძალები შეერთდნენ გაავებული იერიშის მისატანად კომუნიზმზე, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გასალაშქრებლად. რკინის კედლივით აღვიმართებთ საბჭოთა ქვეყნის დასაცავად!

18. იმპერიალისტური მტაცებლები ამზადებენ სამხედრო ინტერვენციას და ეკონომიურ ბლოკადას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ყველა მშრომელებო, დადექით საბჭოთა კავშირის—მთელი ქვეყნის პროლეტარების ჩაგრულ ხალხების სოციალისტურ სამშობლოს დასაცავად!

19. „არც ერთი მტკაველი სხვისი მიწა არ გვინდა, მაგრამ არც ჩვენ მიწას, არც ერთ გოჯს ჩვენს მიწას არ მივცემთ სხვას“ (სტალინი).

20. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს—რევოლიუციის და ხალხთა შორის მშვიდობიანობის დასაყრდენობს, მსოფლიოს ყველა ხალხების მშრომელთა ძმობის სიმბოლოს!

21. გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატის დამკვრელ ბრიგადას, მსოფლიო რევოლიუციის მიუდგომელ ციხე-სიმაგრეს—საბჭოთა ქვეყანას!

22. გაუმარჯოს წითელ არმიას—მსოფლიო პროლეტარიატის შეიარაღებულ რაზმს, საბჭოთა მშვიდობიანობის პოლიტიკის დასაყრდენობს, საბჭოთა კავშირის საზღვრების ერთგულ და ფხიზელ გუშაგს!

23. გაუმარჯოს მუშურ-გლეხური წითელი არმიის მე-13 წლისთავს!

24. ძმური სალამი მსოფლიო ოქტომბრის ბურჯს—წითელ არმიას!

25. გაუმარჯოს კავკასიის წითელდროშოვან წითელ არმიას!

26. წითელი არმია—აქტიური მებრძოლია სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე. კიდევ უფრო მეტი ყურადღება და მზრუნველობა წითელ არმიას და წითელ ფლოტს!

27. განვამტკიცოთ საბჭოთა კავშირის—მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის ციხე-სიმაგრის თავდაცვის უნარი.

28. თავდაცვა-ავიაქიმი—წითელი არმიის მძლავრი რეზერვია. განვამტკიცოთ თავდაცვა-ავიაქიმის მებრძოლი რიგები!

29. თავდაცვა-ავიაქიმის სამხედრო, სამხედრო-ქიმიურ და საავიაციო წრეების საშუალებით ახალ კადრებს მოვამზადებთ მუშებისა და გლეხებისაგან წითელი არმიისათვის!

30. მშრომელები თავდაცვა-ავიაქიმის რიგებში შესვლით ხელს შეუწყობენ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარის განმტკიცებას. ყველა თავდაცვა-ავიაქიმის რიგებში!

31. ათი წლის წინად ამაყად აფრიალდა საქართველოში პროლეტარული რევოლიუციის დროშა. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს.

32. გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურის ათი წლისთავს საქართველოში!

33. საბჭოთა საქართველოს ათი წელი—რევოლიუციონური ბრძოლის და გამარჯვებათა ათი წელია!

34. საბჭოთა ხელისუფლებამ, ლიკვიდაცია უყო რა მენშევიკურ ბატონობას, აალორძინა საქართველოს და ამიერ-კავკასიის ჩამორჩენილი და დაჩაგრული ხალხები და დააყენა ისინი სოციალისტური განვითარების გზაზე!

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

35. საბჭოთა საქართველომ უდიდეს წარმატებებს მიაღწია ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, ელექტროფიკაციის, სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის და ნაციონალური კულტურის განვითარების საქმეში. გაუმარჯოს ბრძოლას სოციალიზმის ახალი გამარჯვებისათვის!

36. საქართველოში სწარმოებს გრანდიოზული სოციალისტური მშენებლობა. გაისმის ზაჰესის ამღერებულ ტურბინების და ახალი ფაბრიკა-ქარხნების მოტორების სიმღერა. ფართოვდება კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა ქსელი. კომუნისტური განათლება შეიჭრა ბნელ ხეობებში და მთებში. ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით ვაშენებთ და კიდეც ავაშენებთ სოციალიზმს!

37. ოქტომბრის დროშით, პარტიის გენერალური ხაზის დროშით წინ, სოციალიზმის ახალ გამარჯვებისაკენ!

38. საბჭოთა საქართველოს მიღწევები შესაძლებელი გახდა მხოლოდ ბოლშევიზმის დროშის ქვეშ, პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში. გაუმარჯოს ბოლშევიზმს! გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას!

39. გაუმარჯოს საქართველოს მშრომელთა მასების ორგანიზატორს და ბელადს—საქართველოს ბოლშევიკების კომუნისტურ პარტიას და მის შტაბს ცენტრალურ კომიტეტს!

40. საქართველოს სოციალისტური მშენებლობის მიღწევები—პარტიის გენერალური ხაზის მტკიცედ გატარების და ლენინური ნაციონალური პოლიტიკის სწორად განხორციელების შედეგია. გაუმარჯოს პარტიის გენერალურ ხაზს!

41. მაღლა ავსწიოთ ორ ფრონტზე შეურიგებელი ბრძოლის დროშა!

42. ძირს კლასობრივი მტრის აგენტურა პარტიის რიგებში—მემარჯვენენი, როგორც მთავარი საფრთხე და „მემარცხენე“ ოპორტუნისტები

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგაზაფხულო სას.-სამ. კამპანიის და საკოლმეურნეო მშენებლობის ამოცანები

ამხ. შ. მათიკაშვილის მოხსენება

ამხანაგებო! მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირში ძირითადად გადაწყდა მარცვლეულის პრობლემა, პარტიამ და ხელისუფლებამ წამოაყენა ტექნიკური კულტურების და მესაქონლეობის გადაჭრის ამოცანა. საქართველო წარმოადგენს ისეთ მხარეს, სადაც ბუნებრივი პირობების გამო შესაძლებელია ტექნიკური კულტურებისა და მესაქონლეობის უაღრესად განვითარება.

როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ჩატარებაზე, ამ ორი უდიდესი ამოცანის გადაწყვეტა უნდა დავისახოთ ძირითად მიზნად. საგაზაფხულო კამპანია უნდა წარმოადგენდეს უდიდეს ნაბიჯს ტექნიკური კულტურებისა და მესაქონლეობის განვითარების დარგში.

ტექნიკური კულტურებისა და მესაქონლეობის განვითარება ძირითადი ამოცანაა

რა გზით წავა ამ ორი პრობლემის გადაჭრა? ამხ. სტალინი ამის შესახებ ამბობს, რომ ტექნიკურ კულტურების და მეცხოველეობის ამოცანის გადაჭრა იმავე გზით უნდა სწარმოებდეს, რა გზითაც სწარმოებდა მარცვლეულის პრობლემის გადაწყვეტა. ესე იგი ის უნდა ემყარებოდეს საბჭოთა მეურნეობებისა და კოლექტიურ მეურნეობების განვითარებას.

ამნაირად ჩვენს წინაშე სდგას კონკრეტული ამოცანა: ფართოდ გავშალოთ საბჭოთა მეურნეობების მშენებლობა, მოვახდინოთ კოლექტიურ მეურნეობათა რიცხვობრივი და ხარისხობრივი ზრდა და მათი სპეციალიზაცია. გავაძლიეროთ სამანქანო - სატრაქტორო სადგურების რიცხვი და საზოგადოთ სოფლის ტექნიკურად შეიარაღება, განვამტკიცოთ მომწესრიგებელ ორგანოების ხელმძღვანელობა სოფლის მეურნეობაზე, შევიტანოთ მუშაობაში მეტი გეგმიანობა.

აშკარაა, ამხანაგებო, რომ ამ ამოცანების გადაჭრის დროს ტექნიკური კულტურები გაიზრდება მარცვლეულ კულტურათა ხარჯზე. გეგმით ნავარაუდევია, რომ შარშანდელთან შედარებით ტექნიკურ კულტურებმა დაიკავონ სათესი ფართობის 120 პროც-ით მეტი. თქვენ ხედავთ რამდენად დიდი ნაბიჯით იდგმება წინ ტექნიკური კულტურების განვითარების დარგში.

ხელისუფლებამ მიზნად დაისახა კიდევ ერთი პრობლემა, ეს არის მებოსტნეობის განვითარება, რამდენადაც ამაზე მჭიდროთ არის დამოკიდებული მუშათა მომარაგების გაუმჯობესება. ყველასათვის ცხადია, თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბოსტნის კულტურებს და მომეტებით კარტოფილს მუშათა მომარაგების საქმეში. აქაც გეგმა ითვალისწინებს მებოსტნეობის გაფართოებას შარშანდელთან შედარებით 100 პროცენტით.

თავის-თავად ცხადია, რომ ყოველივე ამის შედეგად შემცირდება მარცვლეული კულტურები, ვინაიდან მათი ადგილი ტექნიკურ კულტურებს დაეთმობა. მარცვლეული კულტურები შარშანდელთან შედარებით უნდა დაითესოს 8 პროც-ით ნაკლები.

საქართველოში არის მეტად დიდი მნიშვნელობის მაღალი კულტურა. მე ვლაპარაკობ ჩაის შესახებ, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელ საბჭოთა კავშირისათვის. დღევანდლამდე ჩაის ჩვენში უჭირავს 14 ათას ჰექტარამდე. 1931 წელში ჩაის ფართობი უნდა გავზარდოთ 15 ათასი ჰექტარით. ამრიგად ამხანაგებო, ჩვენ ვხედავთ, რომ მარტო ერთი წლის განმავლობაში ჩვენ უნდა გავაკეთოთ ჩაის კულტურის დარგში იმაზე მეტი, რაც საერთოდ დღემდე გაკეთებულა. ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენად დიდი და სერიოზული პროგრამა სდგას ამ მხრივ ჩვენს წინაშე.

ტექნიკური კულტურები სოციალისტურ სექტორში

როგორ უნდა იყვეს გაფართოებული ნათესების ფართობი სოფლის მეურნეობის სხვადასხვა სექტორებში? 1931 წელს საბჭოთა მეურნეობების ფართობების საერთო რაოდენობამ უნდა მიაღწიოს 254 ათას ჰექტარამდე, ესლა კი მათ უკავია 100 ათას ჰექტარზე ცოტა მეტი. აქედან აშკარაა, თუ რამდენად დიდი ზრდა არის გათვალისწინებული საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის საქმეში.

კოლექტიურ მეურნეობებში უნდა იყოს გაერთიანებული მთელი სოფლის მეურნეობის 30 პროცენტი. თუ ეს პროგრამა შესრულდება, სოციალისტური სექტორის გაძლიერებისა შესრულებული იქნება და არ შეიძლება ის არ იქნეს შესრულებული, გაზაფხულის ნათესების ხვედრითი წონა სოციალისტურ სექტორში მიაღწევს 36 პროცენტს.

თუ ავიღებთ ტექნიკურ კულტურების განაწილებას სოციალისტურ და ინდივიდუალურ სექტორში, აქ ასეთი სურათი გვექნება: თვითეულ კომლზე სოციალისტურ სექტორში უნდა დატრიალებული იქნას ტექნიკური კულტურების 1.8 ჰექტარამდე, ხოლო ინდივიდუალურ მეურნეობებში თვითეული კომლი უნდა დაითესოს ტექნიკური კულტურებით 1.6 ჰექტარამდე. ეს იმას ნიშნავს, რომ კოლექტიურ მეურნეობებში ტექნიკური კულტურების ნათესები უფრო სწრაფად უნდა განვითარდეს, ვიდრე ინდივიდუალურ მეურნეობებში.

როგორი დავალება ეკისრება სხვადასხვა სექტორს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა კულტურების განვითარების დარგში? ტექნიკური კულტურების ხვედრითი წონა საბჭოთა მეურნეობებში უნდა შეადგენდეს 11 პროცენტს, ხოლო კოლექტიურ მეურნეობებში — 49 პროცენტს. საერთოდ კი მთელ განსაზოგადოებულ სექტორში ტექნიკურ კულტურათა ხვედრითი წონა უნდა უდრიდეს 60 პროცენტს.

თქვენ ხედავთ ამხანაგებო, რომ სოციალისტურ სექტორში ტექნიკური კულტურები უნდა იკავებდეს მთავარ ადგილს.

რაც შეეხება ბოსტნეულ კულტურებს და კარტოფილს, საბჭოთა მეურნეობებში მათი ხვედრითი წონა უნდა უდრიდეს 9 პროც-ს, ხოლო კოლექტიურ მეურნეობებში 35 პროცენტს. სულ მთელ სოციალისტურ სექტორში ბოსტნეულ კულტურათა ხვედრითი წონა უნდა შეადგენდეს 44 პროცენტს.

მარცვლეულ კულტურებს სოციალისტურ სექტორში უნდა დაეთმოს 29 პროცენტი.

მე, ამხანაგებო, ყრილობის განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევ კულტურათა ასეთ განაწილებას სოციალისტურ სექტორში. თუ ტექნიკურ კულტურათა ხვედრითი წონა სოციალისტურ სექტორში იქნება 60 პროცენტი, ხოლო მარცვლეულის 29 პროც., ჩვენ შეგვიძლია თამამათ განვაცხადოთ, რომ სოციალისტური სექტორი ნამდვილად ამართლებს თავის დანიშნულებას სოფლად, რომ ის საუკეთესო და სასარგებლო მუშაობის ნიმუშის მომცემია.

როგორი უნდა იქნეს გადაწყვეტილი, ამხანაგებო, მესაქონლეობის პრობლემა? იმავე საშუალებით, როგორც ძირითადად გადაწყდა მარცვლეულის და ესლა კი სწყდება ტექნიკური კულტურების პრობლემა. სხვანაირად რომ ვთქვათ, მესაქონლეობის ამოცანა უნდა გადაიჭრას საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობების გაძლიერების საფუძველზე.

როგორ უნდა გადაიჭრას მესაქონლეობის პრობლემა

საკავშირო კომუნისტური პარტიის მე-16 ყრილობა ამის შესახებ ამბობს, რომ საჭიროა პირველ ყოვლისა მესაქონლეობის პრობლემის გადაჭრა უზრუნველყოთ მესაქონლეობის სპეციალურ საბჭოთა მეურნეობათა დაარსების გზით. ამხანაგებო, უნდა ითქვას, რომ თუ ბოლო წლებში მთელს საბჭოთა კავშირში და მის ერთ-ერთ ნაწილში — საქართველოში დიდი ნაბიჯი გადავდგით წინ მარცვლეულის და ტექნიკური კულტურების განვითარების საქმეში, მესაქონლეობაში ჩვენ ასეთი მიღწევები არა გვაქვს. ამ ბოლო წლებში მესაქონლეობა დაქვეითდა. ზრდის მაგიერ ჩვენ მივიღეთ მისი დაკლება.

ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი უნდა ვეძებოთ იმ „მემარცხენე" გადახრაში, რომელსაც ადგილი ჰქონდა წარსული წლის ზამთარში და გაზაფხულზე, როდესაც ჩვენ ვატარებდით კოლექტივიზაციას. ეს შეცდომები პარტიის ხელმძღვანელობით გამოსწორდა, თავბრუდასხმის შეცდომები აღმოფხვრილ იქნა.

რა ამოცანებს ვისახავთ ჩვენ 1931 წელში მესაქონლეობის განვითარების დარგში. მე უკვე მოგახსენეთ, თუ ძირითადათ როგორ გადაიჭრება ეს პრობლემა. მესაქონლეობის განვითარების გეგმა გვაქვს ასეთი: მომავალ წელში საბჭოთა მეურნეობებში მსხვილფეხა საქონლის ჯოგი უნდა უდრიდეს 20 ათას თავს, ღორების—35 ათას თავს, ცხვრის—100 ათას თავს.

თქვენ ხედავთ ამხანაგებო, რომ ჩვენ სერიოზულად ვკიდებთ ხელს მესაქონლეობის განვითარებას საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის გზით.

რამდენიმე სიტყვა იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაში იმყოფებიან ამჟამად მესაქონლეობის საბჭოთა მეურნეობები. პირველ ყოვლისა უნდა ითქვას, რომ ადგილობრივი ორგანიზაციები მეტად მცირე ყურადღებას აქცევენ მას. ადგილობრივ მომუშავე ამხანაგებს მტკიცეთ უნდა ახსოვდეთ, რომ მათი გაძლიერებული ყურადღებისა და ენერგიული დახმარების გარეშე, შეუძლებელია გავაძლიეროთ მესაქონლეობის საქმე.

ამასთანავე მესაქონლეობის არსებულ საბჭოთა მეურნეობებში ნაკლს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ეს მეურნეობანი კარლიკური არიან. საჭიროა შეიქმნას მესაქონლეობის ისეთი საბჭოთა მეურნეობანი, სადაც ათასობით საქონელი გვეყოლება და არა ათეულები და ასეული თავი, როგორც ამას ესლა აქვს ადგილი.

მესაქონლეობის საბჭოთა მეურნეობებს აწყობს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი და აგრეთვე მთელი რიგი საკავშირო სპეციალური გაერთიანებანი, როგორიც არის „სკოტოვოდი", „ოვცევოდი" და „სვინოვოდი". ამ საკავშირო გაერთიანებებს ესაჭიროებათ ადგილობრივ ორგანიზაციების აქტიური დახმარება, რომ მათ წარმატებით შეასრულონ თავიანთი საწარმოო-საფინანსო გეგმა.

მესაქონლეობის საბჭოთა მეურნეობები უნდა მოეწყოს ისე, რომ ისინი გადაიქცნენ პროდუქტიული მესაქონლეობის ნამდვილ ორგანიზატორებათ თავიანთ რაიონებში. მათ უნდა მოახდინონ გავლენა ინდივიდუალურ მეურნეობაზე, რათა ასეთი მეურნეობები დაირაზმონ კოლექტიურად, ე. ი. მესაქონლეობის საბჭოთა მეურნეობებს ამ შემთხვევაში ეკისრება ისეთივე როლი, როგორიც აქვს მარცვლეულ საბჭოთა მეურნეობებს კოლექტივიზაციის დარგში.

რამდენად არის განსაზოგადოებული პროდუქტიული მესაქონლეობა კოლექტიურ მეურნეობებში? უნდა გადაჭრით ითქვას, რომ აქ დიდ უარყოფით გავლენას ახდენს ხელმძღვანელობის სისუსტე. ვერც მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატი და ვერც კოლმეურნეობათა ცენტრი ვერ ხელმძღვანელობს სათანადოთ მესაქონლეობის საქმეს სასოფლო-სამეურნეო არტელებში. დადგა დრო, როდესაც გადაჭრით უნდა დავაყენოთ საკითხი მესაქონლეობის მოგვარების შესახებ კოლექტიურ მეურნეობებში.

ამჟამად საბჭოთა ხელისუფლება მეტად ღრმამნიშვნელოვან ღონისძიებებს ატარებს. სოფლად მიმდინარეობს პირუტყვის დამზადება. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ პირუტყვის დამზადებას მიზნად აქვს დასახული არა მარტო ქალაქების მომარაგების გაუმჯობესება, არამედ აგრეთვე სოციალისტური სექტორის—საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობათა გაძლიერება პროდუქტიული საქონლით. ეს გვაძლევს საშუალებას სათანადო სიმაღლეზე დავაყენოთ მესაქონლეობა სოციალისტურ სექტორში. აგრეთვე ეს ქმნის ნიადაგს იმისათვის, რომ წინ წავსწიოთ კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობა მესაქონლეობის რაიონებში.

მესაქონლეობის განვითარების ერთ-ერთ ძირითად პირობას წარმოადგენს საკვები ბაზის საქმის მოწესრიგება. ჩვენში მესაქონლეობის განვითარებას აფერხებს მხოლოდ ის გარემოება, რომ არა გვაქვს მოწესრიგებული საკვების საქმე. ჩვენ ჯერ კიდევ არ გვეცილებივართ ამ მხრივ მამაპაპათა ჩვეულებებს, როგორც წინად, ისე ჯერ-ჯერობით ესლაც არ ექცევა საჭირო ყურადღება საკვები კულტურების განვითარებას. მომავალში საგაზაფხულო თესვის ერთ-ერთ ამოცანად უნდა დასმული იქნას საკვები კულტურების განვითარება.

გეგმით ნავარაუდევია საკვები კულტურათა დათესვისათვის გამოყოფილ იქნას 45 ათას ჰექტარამდე. წინა წელთან შედარებით ეს შეადგენს საკვებ კულტურების 300 პროცენტით ზრდას.

თქვენ მოგეხსენებათ აგრეთვე, რომ საკვების საკითხის გადაჭრაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს სასილოსო მშენებლობას. სილოსმა უკვე გამართლა თავისი დანიშნულება. მომავალ წელში ეს საქმე ფართო და მტკიცე ნიადაგზე უნდა იქნას დაყენებული.

ამავე პრობლემასთან მჭიდროთ არის დაკავშირებული საძოვრების მოვლა-მოწესრიგების საქმე. უნდა ითქვას, რომ ჩვენ ამ მხრივაც დიდად ჩამოვრჩებით, თითქმის არავითარი ყურადღება საძოვრების გაუმჯობესებისათვის. ამავე დროს უნდა გვახსოვდეს, რომ საჭიროა არა მარტო სარგებლობა საძოვრებით, არამედ მათი მოწყობა-მოწესრიგება.

საკოლმეურნეო მშენებლობის მორიგი ამოცანები

ამხანაგებო, ტექნიკურ კულტურათა და მესაქონლეობის ის დიდი პროგრამა, რომელიც ჩვენს წინაშეა დასახული, მხოლოდ მაშინ იქნება წარმატებით გადაჭრილი, თუ ჩვენ მთელ ამ მუშაობას წარვმართავთ სოფლის სოციალისტური სექტორის გაძლიერების გზით. სერიოზულად ლაპარაკი ტექნიკურ კულტურების განვითარებაზე და მესაქონლეობაზე ჩვენს პირობებში შეუძლებელია იმის გარეშე, თუ ეს განვითარება მთლიანად და სავსებით არ იქნა დაყრდნობილი საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობათა ზრდა-განმტკიცებაზე.

მე უკვე მოგახსენეთ, რომ 1931 წლისათვის გეგმა ითვალისწინებს კოლექტიურ მეურნეობებში დარაზმოს სოფლის მეურნეობის 30 პროცენტი. რეალურია თუ არა ეს ვარაუდი? არის თუ არა პირობები იმისათვის, რომ ჩვენ დავაყენოთ საკითხი კოლმეურნეობებში გაერთიანებულ სექტორის 30 პროცენტამდე გადიდების შესახებ?

საქართველოში 1930 წლის განმავლობაში დიდი მიღწევები გვაქვს საკოლმეურნეო მშენებლობის დარგში. მიუხედავად მრავალი უხეში შეცდომებისა, საქართველოში არის სამი დიდი რაიონი, სადაც უკვე ჩატარებულია მთლიანი კოლექტივიზაცია, სადაც კომლთა საერთო რიცხვის ნახევარზე მეტი დარაზმულია სასოფლო-სამეურნეო არტელებში.

წარსული, 1930 წლის შემოდგომაზე ჩვენ გვქონდა დიდი დეფექტები საკოლმეურნეო მშენებლობაში. ვერც ცენტრალურმა ორგანოებმა და ვერც ადგილობრივმა მუშაკებმა წარსული წლის გამოცდილება ვერ გამოიყენეს იმისათვის, რომ შესაფერისი ხელმძღვანელობა გაეწიათ საკოლმეურნეო მშენებლობაზე, კოლექტიურ მეურნეობათა ზრდა უმეტესწილად თვითმიმდინარეობით სწარმოებდა.

მიუხედავად იმისა, რომ წარსული წლის ზამთარში და გაზაფხულზე უდიდეს შეცდომებს ჰქონდა ადგილი საკოლმეურნეო მშენებლობაში, ამ პერიოდს ახასიათებდა მეტად დიდი მიღწევები. ეს დადებითი მხარე იმაში მდგომარეობდა, რომ თითქმის ყველა ორგანიზაციამ ცენტრში და ადგილობრივ უდიდესი ენერგია გამოიჩინა საკოლმეურნეო მშენებლობის საქმეში, და აი ჩვენ უნდა ვეცადოთ მომავალ საგაზაფხულო კამპანიაში ასეთივე ენერგიით მოვკიდოთ საქმის ხელი, ხოლო უკუვაგდოთ ის შეცდომები, რომელსაც 1930 წ. ჰქონდა ადგილი და რომელიც დაგმო პარტიამ. ამნაირად თუ ჩვენ ამ პირობას შევასრულებთ, თუ დიდ ენერგიასთან ავიცილებთ წარსულ შეცდომებს, თქმა არ უნდა, რომ მომავალ სასოფლო-სამეურნეო საგაზაფხულო კამპანიაში უდიდესი მიღწევები გვექნება კოლმეურნეობათა მშენებლობის განმტკიცების მხრივ.

არ არის საჭირო იმის მტკიცება, რომ ღარიბთა მასების ძირითადმა ნაწილმა, ღარიბმა გლეხკაცობამ და საშუალო გლეხობამ პირი იბრუნა კოლექტიურ მეურნეობებისაკენ. ჩვენ ყოველნაირად უნდა შევუწყოთ ხელი ამ პროცესის დაჩქარება-გაღრმავებას. განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოვეპყრათ კოლმეურნეობებში საშუალო გლეხის გაერთიანების საკითხს. ცნობილია, რომ საშუალო გლეხი სოფლად წარმოადგენს ცენტრალურ ფიგურას, ამიტომ შეუძლებელია კოლმეურნეობათა მშენებლობის გაშლა, თუ ამაში აქტიურ მონაწილეობას არ ღებულობს საშუალო გლეხობა, თუ ჩვენს სასოფლო-სამეურნეო არტელებში და კომუნებში ღარიბებთან და მოჯამაგირეებთან ერთად გაერთიანებული არ იქნებიან საშუალო შეძლების გლეხებიც. რა თქმა უნდა ნებაყოფლობის პრინციპი აქაც მტკიცედ და განუხრელად უნდა იქნას დაცული. ჩვენ უნდა მოვიზიდოთ მხოლოდ დარწმუნებით, მხოლოდ მაგალითის საშუალებით, კარგი მუშაობის მაგალითის მიცემით. ეს კი მოითხოვს საკოლმეურნეო ორგანიზაციებისაგან უფრო სერიოზულ და უფრო სისტემატიურ მუშაობას საკოლმეურნეო მშენებლობაზე.

ამასთანავე საკოლმეურნეო მშენებლობა გულისხმობს ღარიბ გლეხთა მხრივ მუშაობის მაქსიმალურად გაძლიერებას. ღარიბი გლეხკაცობა უნდა გადაიქცეს იმ მთავარ დასაყრდენ ძალად, რომლის საშუალებითაც ფართოთ გაიშლება კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობა.

სამანქანო-სატრაქტორო სადგურები საქართველოში

უდავოა, რომ საკოლმეურნეო მოძრაობის განვითარების საქმეში უდიდეს როლს ასრულებს სამანქანო-სატრაქტორო სადგურები. ამჟამად საქართველოში სულ სამი სამანქანო-სატრაქტორო სადგურია. მომავალ გაზაფხულზე განზრახულია მოეწყოს კიდევ სამი ასეთი სამანქანო-სატრაქტორო სადგური. ჯერ-ჯერობით ჩვენს სამანქანო-სატრაქტორო სადგურების საქმიანობას მრავალი ნაკლი სდევს. ისინი ჯერ კიდევ ვერ წარმოადგენენ კოლექტიურ მეურნეობათა ნამდვილ ორგანიზატორებს ისე, როგორც ამას ადგილი აქვს საბჭოთა კავშირის სხვა რაიონებში. ეს ნაკლი უეჭველ მიზეზს გარეშე, უახლოეს დროის განმავლობაში უნდა აღმოიფხვრას. სამანქანო-სატრაქტორო სადგურები საკოლმეურნეო მოძრაობის ძლიერ ორგანიზატორებად უნდა გადაიქცნენ.

ახალი სამი სამანქანო-სატრაქტორო სადგური, რომლის დაარსებაც განზრახულია მომავალ გაზაფხულზე, მოეწყობა ტექნიკურ კულტურების რაიონში. ეს გასაგებია, რადგან ჩვენ უდიდეს ყურადღებას ვაქცევთ ტექნიკური კულტურების განვითარებას, ხოლო ამის ერთ-ერთ ძირითად პირობას წარმოადგენს სოფლის მეურნეობის ტექნიკური ბაზის გარდაქმნა.

ხშირად გვესმის საყვედურები იმის გამო, რომ ვერ ვაკმაყოფილებთ ამა თუ იმ რაიონის მოთხოვნილებას. ეს იმიტომ ხდება, ამხანაგებო, რომ ჩვენ ჯერ-ჯერობით არა გვაქვს შესაძლებლობა ყველგან დავაარსოთ სამანქანო-სატრაქტორო სადგურები, ხოლო ამ სადგურების ის განსაზღვრული რაოდენობა, რომელიც ჩვენ მოგვეპოვება, ვალდებულნი ვართ გამოვიყენოთ ტექნიკურ კულტურების რაიონებში.

როცა ჩვენ ტრაქტორებზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება ამ ყრილობაზე ყურადღება არ შევაჩეროთ ცოცხალი გამწევი ძალის საკითხზე. უნდა ითქვას, რომ ხშირად ადგილი აქვს მუშა-საქონლის დაუდევრობას. მტკიცეთ უნდა გვახსოვდეს, რომ მახლობელი წლების განმავლობაში მუშა-საქონელს დიდი როლი აქვს დაკისრებული სოფლის მეურნეობის განვითარების დარგში. ყრილობამ უნდა სთქვას, რომ უყურადღებობა მუშა-საქონლის მიმართ მავნებლობაა. ჩვენი მოვალეობაა არა მარტო დავიცვათ მუშა-საქონლის ამჟამად არსებული რაოდენობა, არამედ ყოველი ზომები მივიღოთ მისი უაღრესად გაძლიერებისათვის.

მუშა-საქონლის შეუფასებლობა კულაკური გადახრაა. კულაკს სურს გლეხებმა გასწყვიტონ მუშა-საქონელი. ხშირია შემთხვევა, როცა კულაკის პროვოკაციული აგიტაცია მიზანს აღწევს. საქონლის განადგურებას სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს.

არ შეიძლება აგრეთვე არ აღინიშნოს, რომ მუშა-საქონლის შეუფასებლობას ხელს უწყობს ზოგიერთი ჩვენი ამხანაგების წინდაუხედავი მუშაობა. ასე მაგალითად, ჩვენ ხშირად ვაძლევთ გლეხებს დაპირებას იმის შესახებ, რომ მას მიეცემა ტრაქტორები. ამის შედეგად გვაქვს მუშა-საქონლის განადგურება. ჩვენი მოვალეობაა გლეხობას პირდაპირ განვუცხადოთ, რომ ტრაქტორები მახლობელი წლების განმავლობაში განაწილებული იქნება სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობებში. აქედან ტრაქტორები რა თქმა უნდა გაეგზავნება კოლექტიურ მეურნეობებს საქმისათვის. ეს იმით არის გამოწვეული, რომ ცალკე მომუშავე ტრაქტორი ხშირად ვერ არის გამოყენებული მიზანშეწონილად, ვინაიდან კოლექტიური მეურნეობა მოკლებულია საშუალებას შესაფერისად მოუაროს ტრაქტორს და ამუშაოს იგი.

რაც შეეხება სხვა მანქანა-იარაღების სოფლად შეზიდვას, გასულ წლებში ამ მხრივ დიდი მიღწევები გვაქვს. ბევრ ჩვენგანს კარგად ახსოვს და განსაკუთრებით ეს იციან აქ მყოფმა მოხუცმა დელეგატებმა, რომ სულ რამდენიმე წლის წინად საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე იშვიათი იყო სოფელში სერიოზული სასოფლო-სამეურნეო იარაღი. გუთანი და სხვა. გუთანი ჰქონდა უმთავრესად კულაკს, რომელიც უწევდა მას ღარიბ-საშუალო გლეხობის გაძარცვისათვის.

ამხ. სტალინი ერთ-ერთ თავის სიტყვაში ამბობს, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ საუკეთესოდ გაითვალისწინა გლეხკაცობის მოთხოვნილება ახალ ინვენტარზე, ახალ ტექნიკაზე და თავის დროზე მოაწყო მათი დამზადება. დაარსებულია მანქანების გამქირავებელი პუნქტები, სამანქანო-სატრაქტორო სადგურები, მიწის საერთო შრომით დამმუშავებელი ამხანაგობანი, კოლექტიური მეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობები. კაცობრიობის ისტორიაში ამბობს ამხ. სტალინი —პირველად წარმოიშვა ხელისუფლება—ხელისუფლება საბჭოების, რომელიც მშრომელ გლეხობას სისტემატიურ დახმარებას უწევს.

ამრიგად ჩვენ დიდი მიღწევები გვაქვს სოფლის მანქანა-იარაღებით აღჭურვის დარგში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სოფელი სრულიად არის დაკმაყოფილებული სასოფლო-სამეურნეო ინვენტარით. 1931 წელში სოფლად შეტანილი იქნება 53 ათასი ცალი სხვადასხვა სახის ინვენტარი, ამ რიცხვში არ შედის ტრაქტორი. თავისთავად ცხადია, რომ ამ ინვენტარის უდიდესი ნაწილი პირველ ყოვლისა მიეცემა კოლექტიურ მეურნეობებს.

სოფლის მეურნეობის დაფინანსება

სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის ერთ-ერთ მძლავრ საშუალებას წარმოადგენს ამ მეურნეობის დაფინანსება. დაფინანსების გეგმა ითვალისწინებს საქართველოში 82 მილიონზე მეტ მანეთს სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის. ამაში არ შედის საკავშირო ფედერატიული ბიუჯეტით და ადგილობრივი ბიუჯეტით გაღებული თანხები, თავისთავად იგულისხმება, რომ ამ ფულის უდიდესი ნაწილი წავა ტექნიკური კულტურების გაძლიერებაზე. კონკრეტულად 60 პროცენტი მთელი თანხისა მოხმარდება ტექნიკური კულტურების განვითარებას. ისიც უდავოა, რომ თანხები უმთავრესად მიეცემა კოლექტიურ მეურნეობებს.

ეს, ამხანაგებო, სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ადგილობრივ ორგანიზაციებს და კერძოთ კოლექტიურ მეურნეობებსაც შეუძლიათ ოდნავ მაინც შეასუსტონ მუშაობა სახსრების მობილიზაციის დარგში. მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ ამ თანხის გაღება მარტო სახელმწიფოს არ შეუძლია, ნავარაუდევი 82 მილიონი მანეთის 60 პრ. მეტი უნდა შეადგენდეს ადგილობრივი საშუალებით შეკრებილი თანხა. სახელმწიფო დიდ საწარმოო დახმარებას გაუწევს სოფლის მეურნეობას, მაგრამ თუ ადგილობრივ არ გაიშალა მუშაობა, თუ სახსრების მობილიზაცია გაათკეცებული ენერგიით არ ვაწარმოეთ ისე ამ ღონისძიებებს ფასი დაეკარგება. კოლექტიური მეურნეობა მხოლოდ მაშინ მიიღებს თანხებს, თუ ის მობილიზაციას გაუკეთებს ადგილობრივ სახსრებს არა ნაკლებ 60 პროც., წინააღმდეგ შემთხვევაში ის ერთ კაპეიკსაც ვერ მიიღებს. ეს ესლავე, მთელი კატეგორიულობით უნდა ითქვას, რომ არავის არ მიეცეს ფუჭი იმედი მხოლოდ ზევიდან დახმარების.

ზედმეტია, ამხანაგებო, იმის მტკიცება, თუ რა განსაკუთრებული ადგილი უჭირავს კონტრაქტაციას სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში. კონტრაქტაციის გატარების დარგში დიდ შეცდომებს ჰქონდა ადგილი. გლეხობის ფართო მასები ჯერ კიდევ ვერ იცნობენ კონტრაქტაციის ნამდვილ მიზანს და დანიშნულებას. კონტრაქტაცია არ იყო და ჯერ კიდევ არ არის გადაქცეული კოლექტივიზაციის ნამდვილ იარაღათ.

მართალია ჩვენ ამჟამადაც არ ვიცით ყველა კულტურების კონტრაქტაციის პირობები, მაგრამ ეს სრულიადაც იმას არ ნიშნავს, რომ შეუძლებელი არის მასიური მუშაობის დაწყება კონტრაქტაციის იდეის პოპულარიზაციისათვის.

თქვენ უთუოდ წაკითხული გაქვთ საკავშირო სახკომსაბჭოს და საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება კონტრაქტაციის შესახებ. ეს დადგენილება უნდა იცოდეს ყველამ. თვითეულ გლეხმა, თვითეულ ღარიბ და საშუალო გლეხმა, ამ დადგენილებას ნათლად უნდა იცნობდეს თვითეული ადგილობრივი მუშაკი. ყრილობამ უნდა დაადგინოს, რომ ის ნაკლი, რომელიც ჩვენ გვაქვს კონტრაქტაციის საქმეში გამოსწორებული იქნას.

დავაჩქაროთ საგაზაფხულო კამპანიის სამზადისი

როგორ მიმდინარეობს ამხანაგებო სამზადისი გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიისათვის?

ვერ ვიტყვით, რომ ეს მზადება დამაკმაყოფილებლად სწარმოებს. ყრილობამ ამ გარემოებას თავისი შეფასება უნდა მისცეს. მთელი რიგი რაიონები ჩამორჩენილია. აგრეთვე არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს მზადება ბამბის თესვის და ჩაის კულტურების განვითარების საქმეში ჯერ კიდევ არ არის აღებული დამაკმაყოფილებელი ტემპები ტექნიკურ კულტურათა თესვა-მოშენებაში. აქაც ამხანაგებო დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს გარდატეხა.

ჯერ-ჯერობით სუსტად მიმდინარეობს წყალთა მეურნეობის მუშაობა. ჩვენ კი ვიცით, რომ ბამბის კულტურის განვითარებისათვის წყალს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. რათაც არ უნდა დაგვიჯდეს ბამბის კულტურათა რაიონები უნდა უზრუნველვყოთ წყალით. ამხანაგებო გაზაფხულის თესვა ძალიან დაგვიახლოვდა, საჭიროა დაუყოვნებლივ გავაცხოველოთ მუშაობა. ძალიან ახლოა ის დრო, როცა გუთანი გავა მინდვრად, რაც აქამდე არ გაკეთებულა ამ მოკლე ხანში უნდა გაკეთდეს. მთავარ ნაკლს წარმოადგენს ტექნიკური კულტურების თესლის სიმცირე, რაც შეეხება მარცვლეულ კულტურებს აქ საქმე უნდა მოგვარდეს მთლიანად ადგილობრივი საშუალებით. საჭიროა გლეხობა პირდაპირ გავაფრთხილოთ, რომ სახელმწიფო ვეღარ მისცემს მათ თესლს როგორც ეს წინა წლებში ხდებოდა, ამიტომ თქვენ ამხანაგებო, როცა დაბრუნდებით ადგილებზე, უნდა უთხრათ ამის შესახებ თქვენი რაიონის გლეხებს და კოლექტიურ მეურნეობებს, რომ მათ საკუთარი საშუალებით გამოძებნონ მარცვლეულის თესლი და სახელმწიფოს სესხზე იმედის დამყარებით თესვა არ დააგვიანონ.

მიზანშეწონილად გამოვიყენოთ არსებული კადრები

შემდეგი საკითხი, რომელიც აგრეთვე მჭიდროთ არის დაკავშირებული სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის ჩატარებასთან, ეს არის საკითხი კადრების შესახებ. ჩვენს მუშაობაში ამ მხრივ დიდ დაბრკოლებებს აქვს ადგილი. თუ რამდენად მწვავედ სდგას კადრების საკითხი, ეს იქიდანაც ჩანს, რომ საქართველოში არის მთელი რაიონები, სადაც არც ერთი აგრონომი არ მოიპოვება. ეს მდგომარეობა გვავალებს უდიდესი ყურადღებით მოვეპყრათ არსებული კადრების ზედმიწევნით მიზანშეწონილად განაწილებას და გამოყენებას. პირველ რიგში ისინი უნდა გამოყენებულ იქნან ტექნიკურ კულტურების მესაქონლეობისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების რაიონებში. ამასთანავე უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს ახალი კადრების მომზადების საქმეს. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტმა ამ წლის თებერვალში უკვე გამოუშვა ახალი აგრონომები, რომლებიც რაიონებში იგზავნებიან. ამავე დროს ამხანაგებო, ჩვენ გვყავს მთელი არმია აგრო-რწმუნებულებისა, მათი რიცხვი 10.000 კაცს უდრის. საჭიროა მიღებულ იქნას ზომები აგრორწმუნებულთა მასის აგრონომიული მომზადების ამაღლებისათვის.

სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის ყველა ეს ამოცანები შესაძლებელია მაშინ, თუ ყველა ჩვენი ორგანიზაციები შესცვლიან თავის მუშაობას რეკონსტრუქტიულ პერიოდთან შეფარდებით, როგორც ვიცით, საბჭოთა არჩევნები დიდი აქტივობით ჩატარდა. ამჟამად ახალი საბჭოები შეუდგნენ მუშაობას. ჩვენ უნდა მივიღოთ ყველა ზომები იმისათვის, რომ ეს საბჭოები გადავაქციოთ კოლექტივიზაციის ნამდვილ ორგანიზატორებად.

მთავარი, რასაც უნდა მიექცეს ყურადღება სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში, ეს არის სწორი პარტიული ხაზის გატარება, ჩვენ მხოლოდ მაშინ მოვიპოვებთ გამარჯვებებს ამ დარგშიაც, ისე, როგორც სოციალისტური მშენებლობის ყველა სხვა დარგებში, თუ ადგილი არ ექნება მემარჯვენე და „მემარცხენე" გადახრებს.

ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს კამპანიების ჩატარება, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს სოფლად, შესაძლებელია ღარიბ გლეხკაცობის მჭიდროთ შეკავშირებით. მუშაობა ღარიბ გლეხკაცებს შორის უნდა გაცხოველდეს, დღევანდელი მდგომარეობა ამ მხრივ დამაკმაყოფილებელი არაა. ჩვენ უნდა დავრაზმოთ მთელი სოფლის მშრომელი მასები მორიგ უდიდეს ამოცანების გარშემო ტექნიკურ კულტურების განვითარების და მესაქონლეობის გარშემო. ჩვენ უნდა ვაწარმოოთ ის მუშაობა სოფლის სოციალისტური საბჭოთა მეურნეობების და კოლექტიურ მეურნეობების განმტკიცების გზით. ამასთანავე მიმდინარე საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიაში უნდა გამოვიჩინოთ ბოლშევიკებისათვის ჩვეული ენერგია და სიმტკიცე და უნდა ავიცილოთ თავიდან ძველი შეცდომები.

ეს იქნება იმის მთავარი საწინდარი რომ ჩვენ სახელოვნად შევასრულებთ პარტიის უდიდეს დავალებას, სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის დარგში და მთელ საბჭოთა კავშირთან ერთად წავალთ წინ ოქტომბრის რევოლიუციის საბოლოო გამარჯვებისაკენ. (ტაში).

სოციალისტურ სამშობლოს მედგრად დავიცავთ

მე მინდოდა დამეპირისპირებინა ჩვენი მშენებლობისათვის ბურჟუაზიული ქვეყნების მდგომარეობა. ეს დაპირისპირება მეტად სასარგებლოა. ერთი ბურჟუაზიული მწერალი სწერს ამას წინათ: ვისაც უნდა თავისი თავის სიცოცხლეშივე ჯოჯოხეთი ნახოს, წავიდეს — საბჭოთა კავშირშიო, მაშასადამე მას ჩვენი ქვეყანა ჯოჯოხეთად მიაჩნია, ბურჟუაზიული ქვეყანა კი — სამოთხედ. აი ასეთი წარმოდგენის არიან ზოგიერთი ბურჟუაზიული მწერლები. მაგრამ უფრო დინჯი, მომზადებული და სერიოზული ხალხი ბურჟუაზიული ქვეყნებისა სხვა რამესაც ამბობენ, როდესაც საბჭოთა კავშირში ეცნობიან იმას, რაც აქ კეთდება. მათი აზრით უთუოდ განხორციელდება 5 წლიანი გეგმა. ამას ამბობს, მაგ., ინჟენერი ჟულიუს კირშნერი, რომელმაც საბჭოთა კავშირში კარგა ხანი დაჰყო. ერთი გერმანელი გაზეთი ამბობს — საბჭოთა კავშირის მიღწევები განსაცვიფრებელიაო. ამას წინად ცნობილი ლიოიდ - ჯორჯი სწერდა სხვათა შორის ჩვენი 5 წლიანი გეგმის განხორციელების შესახებ. ამ საკითხზე შეიძლება ჯერ კიდევ მრავა პასუხის გაცემა, მაგრამ ორი წლის მუშაობის შემდეგ მიღწევები უკვე არისო, მრეწველობის პროდუქცია გაიზარდა 180 პროც-ით, სოფლის მეურნეობა 121 პროც-ით, ყველგან ჩვენ ვხედავთ ახალ ქარხნებს და ახალ ფაბრიკებსაო. ყოველ შემთხვევაში სტალინი ქმნის უდიდეს ისტორიულ ფაქტს. თუ 5 წლიანი გეგმა არ შესრულდა, კომუნიზმი ჩაიშლება, თუ შესრულდა მივიღებთ ისეთ მდგომარეობას, რომელიც გვიჩვენებს, რომ კომუნიზმის განხორციელება შესაძლებელი ყოფილაო.

ასე, ამხანაგებო, ლოიდ-ჯორჯი, ინგლისის ლიბერალურ პარტიის ლიდერი სწერს ამას.

ბურჟუაზიული ქვეყნების მდგომარეობის შესახებ რამდენიმე სიტყვა ვსთქვი გუშინ ყრილობის გახსნის დროს. მე მაქვს აუარებელი ფაქტები იმისა, თუ როგორ იზრდება უმუშევრობა საზღვარგარეთ, თუ როგორ ეცემა მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, აღებ-მიცემობა. აუარებელი ცნობებია იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობას განიცდიან მუშები. 30 მილიონ მუშაზე მეტი გამოყრილია ფაბრიკა - ქარხნებიდან. ინგრევა ბურჟუაზიული ქვეყანა. ერთი ამხანაგი, რომელიც გერმანიიდან ჩამოვიდა, ამბობს — ბურჟუაზიულ ქვეყნებში უდიდესი დუღილია, ბურჟუაზიული წესწყობილებას ნიადაგი ეცლებაო, მუშათა კლასი ისე ღელავს, ისე შფოთავს, რომ გეგონება დღეს ხვალ უნდა მოხდეს საშინელი კატასტროფაო.

ერთი ვიკითხოთ, სად არის ჯოჯოხეთი— ჩვენში, თუ კაპიტალისტურ ქვეყნებში? რა თქმა უნდა ჩვენში ჯოჯოხეთია იმ კლასებისათვის, რომელთაც ჩვენ ბატონობა გამოვტაცეთ და რომელნიც განადგურებულნი არიან, კაპიტალისტურ ქვეყნებში ჯოჯოხეთია მუშათა კლასისათვის, მშრომელი ხალხისათვის, ხოლო სამოთხეა მბრძანებელი, ბატონებული კლასებისათვის.

ამხანაგებო, ჩვენს ქვეყანას ეს ბურჟუაზიული ქვეყნები ვერ ითმენენ. ისინი დაინტერესებული არიან ჩვენი დამხობით, საბჭოთა ხელისუფლების განადგურებით, მუშათა კლასის დიქტატურის მოსპობით. გასაკვირი არ არის, რომ ისინი ჩვენზე თავდასხმას ამზადებენ, უკანასკნელ დროს იქ დიდი მზადებაა ჩვენს წინააღმდეგ. ეს გარეწრები, ეს ბინძური, დაავადებული, დაშლისა და უფსკრულის კარამდე მიღწეული ბურჟუაზიული ქვეყანა ლამობს დაამხოს ახლად აღმოცენებული საბჭოთა სახელმწიფო, მუშათა კლასის ხელისუფლება. აი რაშია საქმე. იმათ სწადიათ, რომ საბჭოთა კავშირის მუშებსა და გლეხებს „ასწავლონ ჭკუა". მთელი მათი მოქმედება აქეთკენ არის მიმართული, რა არის ეს „ჭკუის სწავლება"? ეს არის სისხლიანი ომი ჩვენს წინააღმდეგ, ეს არის განადგურება მუშათა კლასისა, ისინი მოდიან, რომ „იხსნან" ყოფილი რუსეთის ხალხი. რა ცბიერება, რა ფარისევლობაა! ის კი არ იციან, რომ მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა ამ ხნის განმავლობაში იმდენად გამოიფხიზლა, იმდენად განვითარდა, იმდენად ამაღლდა გონებრივად, ზნეობრივად და ყოფა-ცხოვრების მხრივ, რომ მათი მოტყუილება აღარ შეიძლება, რომ ძველი დროის დაბრუნება მათ ვეღარ წარმოუდგენიათ.

განა შესაძლებელია, რომ საბჭოთა კავშირის მშრომელი ხალხი დასთანხმდეს იმ მთავრობის, იმ რეპრესიების, იმ დამცირების და ჩაგვრის აღდგენას, რომელსაც ადგილი ჰქონდა მეფის რეჟიმის დროს? არასოდეს. რას იტყვიან, რა პასუხს გასცემენ ბურჟუაზიულ მტაცებლებს და გამცემლებს ის ერები, რომლებიც ნადგურდებოდნენ, რომლებიც განწირულნი იყვნენ მეფისა და მემამულეების დროს. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ მისცა მათ ღონისძიების, განვითარების და ზრდის საშუალება.

რას ფიქრობენ ასეთ პირობებში ბურჟუაზიული სახელმწიფოები, რომლებიც მიდიან ჩვენს წინააღმდეგ? აშკარაა, ამხანაგებო, აქ ისინი მიიღებენ ისეთ პასუხს, რომ ინანებენ ჩვენზე თავდასხმას. ეს თავდასხმა იქნება ნიშანი სამოქალაქო ომის გაჩაღებისა კაპიტალისტურ ქვეყნებში და იმ წამის მოახლოვება, როდესაც ოქტომბრის რევოლიუცია მთელ მსოფლიოს მოედება და ლენინის იდეები საბოლოოდ გაიმარჯვებს.

მქუხარე ტაში. დელეგატები ფეხზე დგებიან და ოვაციებს უმართავენ ამხ. ფილიპე მახარაძეს.

კომისიების სხდომა

დღეს, 19 თებერვალს, 3 საათზე, შესდგება ყრილობის მიერ გამოყოფილ კომისიების სხდომა.

საქართველოს მთავრობის საანგარიშო მოხსენების გამო რეზოლიუციის შესამუშავებლად გამოყოფილ კომისიის სხდომა შესდგება ამხ. ფილიპე მახარაძის კაბინეტში.

სხდომას უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები:

გოგია, ლოდარია, ლორთქიფანიძე, ბლუაშვილი, მამულია, ქურდაძე, მზარეულიშვილი, მაშკევიჩი, აბაევი, ჟვანია, თხილავა, ქურციკაშვილი, იორდანიშვილი, ბუჯიაშვილი, ბურეშ, ორჯონიკიძე, ფანცულაია დავით, ჯაფარიძე ვარო, კუპაიძე გრ., ურუშაძე.

ამიერ - კავკასიის მთავრობის საანგარიშო მოხსენების გამო რეზოლიუციის შესამუშავებლად გამოყოფილი კომისიის სხდომა შესდგება 3 საათზე ამხ. ყურულიშვილის კაბინეტში (ა.-კ. სახ. მეურნ. უმ. საბჭო).

სხდომას უნდა დაესწრონ კომისიის შემდეგი წევრები:

გოგია, იპპო, ლაკობა, მელაძე, აკობოვი, მაჩაიძე, ქიქინაძე, ლვამიჩავა, რუხაძე, ასრიბეკოვი, შაბანოვი, გობეჩია, აკოპოვი, ბოლქვაძე, მელაშვილი, ხომერიკი, ჩუბინიძე და ანდრიაძე.

გაზაფხულის სასოფლო - სამეურნეო კამპანიისა და საკოლმეურნეო მშენებლობის ამოცანების შესახებ გაკეთებულ მოხსენების გამო რეზოლიუციის შესამუშავებლად გამოყოფილი კომისიის სხდომა შესდგება ნაშუადღევს 3 საათზე ამხ. მათიკაშვილის კაბინეტში (საქართველოს მიწსახკომში).

კომისიის სხდომას უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: ქართველიშვილი, მამულია, აფციაური, თანდილაშვილი, გვასალია, ხოშტარია, აბაევი, ბლუაშვილი, კაჭარავა, ურუშაძე, ჩხენკელი, ლორთქიფანიძე, ულენტი, კვირიკაძე, დოლიძე, ლაკობა, ანდრიაძე, მექვაბიშვილი.

საყოველთაო-სავალდებულო სწავლების მდგომარეობა

ამხ. გ. დევდარიანის მოხსენება *)

ამხანაგებო! შემთხვევითი არაა, რომ საქართველოს საბჭოების მე-6 ყრილობაზე სდგას საკითხი საყოველთაო-სავალდებულო სწავლების შესახებ. შემთხვევითი არაა იმიტომ, რომ კულტურული მშენებლობის საკითხები ჩამორჩა სახალხო მეურნეობის სხვა დარგების განვითარების სწრაფ ტემპებს და აუცილებელია ამ საკითხების დაჩქარებით გადაჭრა. უკვე განვლო ის დრო, როდესაც ჩვენ კულტურულ ფრონტს მესამე ფრონტს უწოდებდით. ესლა კულტურული ფრონტი მთელი სოციალისტური მშენებლობის შემადგენელი ნაწილია და კულტურული რევოლიუციის საკითხების დაჩქარებით გადაჭრა ისეთსავე პირველხარისხოვან ამოცანას წარმოადგენს, როგორც მრეწველობის განვითარება და სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნა.

კულტურული რევოლიუცია მოითხოვს კადრებს. საჭიროა კომუნისტური აღზრდის გაძლიერება, ამის მიღწევა კი შეუძლებელია, თუ არ შემოვიღეთ საყოველთაო-სავალდებულო სწავლება. წელს ჩვენ უკვე შევუდექით საყოველთაო სწავლების განხორციელებას, თუმცა გეგმით ამის გატარება უნდა დაგვეწყო 1934 წლიდან. საყოველთაო-სავალდებულო სწავლების შემოღების დაჩქარება გამოიწვია მთელი სახალხო მეურნეობის გაძლიერებულმა მოთხოვნილებებმა.

წელს საყოველთაო-სავალდებულო სწავლება შემოღებულია 35 რაიონში, დანარჩენ ჩამორჩენილ რაიონებში, შემოღებული იქნება უახლოესი ორი წლის განმავლობაში: 1932 წელში 10 რაიონში და 1933 წელში—დანარჩენ 8 რაიონში; ეს რაიონებია თურქული რაიონები და აჭარისტანი, სადაც საყოველთაო-სავალდებულო სწავლების დაუყოვნებლივ განხორციელებას აბრკოლებს პედაგოგიური პერსონალის ნაკლებობა და მოსახლეობის კულტურული ჩამორჩენილობა.

გეგმით წელს ჩვენ უნდა გაგვეხსნა 626 ახალი ჯგუფი. ფაქტიურად 50 რაიონში გახსნილია—1164 ჯგუფი, გეგმა დიდი გადაჭარბებითაა შესრულებული. გეგმა გადაჭარბებით შევასრულეთ აგრეთვე ბავშვთა სკოლებში ჩაბმის მხრივ. ჩამორჩენას აქვს ადგილი მხოლოდ ასაკგადაცილებულ ბავშვთა სკოლებში ჩაბმის მხრივ. აქ გეგმა შესრულებულია მხოლოდ 49 პროცენტით.

წელს სკოლებში უნდა ჩაბმულიყო 2287 ახალი პედაგოგი, ფაქტიურად ჩაბმულია 1963. დანაკლისი აიხსნება ნაციონალურ უმცირესობათა პედაგოგების სიმცირით. ამ ნაკლის გამოსასწორებლად მიღებულია გადამჭრელი ზომები, გახსნილია მთელი რიგი სპეციალური სასწავლებლები მათ მოსამზადებლად.

საყოველთაო-სავალდებულო სწავლების ჩატარების დარგში არის მთელი რიგი დაბრკოლებანი, რომლებიც აფერხებენ მის განხორციელებას. მე შევჩერდები აქ მასწავლებლების მატერიალურ მდგომარეობაზე. პარტიის და ხელისუფლების მიერ მიღებულია მთელი რიგი ღონისძიებები ამ დარგში. თუ მაგალითად, შარშან სახალხო მასწავლებლის საშუალო ჯამაგირი იყო 50 მანეთი, ესლა იგი 70 მანეთს. ეს დიდი მიღწევაა. ამას გარდა გამოცემულია დადგენილება, რომლითაც მასწავლებლები მომარაგების მხრივ გათანასწორებულნი არიან მუშებთან. ამავე დადგენილებით ისინი უნდა სარგებლობდნენ უფასო კომუნალური სამსახურით. მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ეს დადგენილება ადგილებზე არ ტარდება ცხოვრებაში.

საყოველთაო - სავალდებულო სწავლებასთან დაკავშირებით საჭიროა აუარებელი სასწავლო ნივთები. ჩვენმა დამამზადებელმა ორგანიზაციებმა ვერ შესძლეს მათი დამზადება-მომარაგება. მაგ., სახელგამმა ვერ შეასრულა თავის თავზე აღებული ვალდებულება და ვერ მიაწოდა სკოლებს არა თუ სახელმძღვანელოები, არამედ რვეულებიც კი. სახელგამი ბეჭდავდა ისეთ წიგნებს, რომელთა გადადებაც შეიძლებოდა ნახევარი ან ერთი წლით, ამ დროს სახელმძღვანელოები კი უძრავად იწყო სახელგამში.

ვინაიდან წელს სამრეწველო საქონლის ნაკლებობაა, ჩვენ თავის დროზე მივიღეთ ზომები მოსწავლეთა მოსამარაგებლად, წარვადგინეთ, სადაც ჯერ არის ჩვენი მოთხოვნილება, მაგრამ ის დაკმაყოფილებული იქნა მხოლოდ 5 პროცენტით. ბავშვთა მომარაგებაში დიდი ინიციატივა გამოიჩინეს შეუძლია ადგილობრივ ორგანიზაციებს, მაგრამ გარდა რამდენიმე რაიონისა ამ დარგში თითქმის არაფერი არ არის გაკეთებული.

რაც შეეხება სასკოლო მშენებლობას, წელს ჩვენ უნდა ავაგოთ 4-წლედებისათვის 120 ახალი შენობა, დავამთავროთ 85 და შევაკეთოთ 80 შენობა, რაზედაც სულ დაიხარჯება 2 მილ. მანეთი; 7 წლედებისათვის აგებული იქნება 10 შენობა და დამთავრებული—15. ამას გარდა განზრახულია 7 ახალი შენობის აგება პედაგოგიურ ტექნიკუმებისათვის. სასკოლო მშენებლობის გაშლას ხელს უშლის სამშენებლო მასალის ნაკლებობა.

საყოველთაო-სავალდებულო სწავლებაზე ნავარაუდევია დაიხარჯოს 21,5 მილიონი მანეთი. ნაწილი თანხებისა ეკისრება სამეურნეო-კოოპერატიულ ორგანიზაციებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამეურნეო ორგანიზაციები ვერ გრძნობენ საყოველთაო-სავალდებულო სწავლების მნიშვნელობას და ძალიან ძუნწად იძლევიან ფულს ამ საქმისათვის. ზოგიერთი ორგანიზაცია ფიქრობს პროდუქციის ფასების გადიდებით შეაგროვოს საყოველთაო სწავლებისათვის გათვალისწინებული თანხები. მათ უნდა შევაგნებინოთ, რომ ასეთი პოლიტიკა მავნებლობაა და ვაიძულოთ ისინი გაიღონ საჭირო თანხები.

დასასრულ, მომხსენებელი ეხება სკოლების პოლიტექნიზაციის საკითხს და ამბობს, რომ ჩვენს მრეწველობას და სოფლის მეურნეობას 5 წლედის განმავლობაში დასჭირდება მრავალი ათასი სპეციალისტი უმაღლესი და საშუალო კვალიფიკაციით, რომლებიც უნდა მოგვცენ ჩვენმა სკოლებმა. ჩვენ უნდა გამოვუშვათ ისეთი კადრები, რომლებიც გაცნობილი იქნებიან საწარმოო პროცესებთან. ასეთი კადრების მომზადებას კი შეუძლია მხოლოდ პოლიტექნიკურ სკოლას. ამიტომ სკოლების პოლიტექნიზაცია ჩვენი ყურადღების ცენტრში უნდა იქნეს მოქცეული. პოლიტექნიზაციის ჩატარება ჩვენ განზრახული გვაქვს სკოლების საწარმოებთან მიმაგრებით და ამ საწარმოების მუშაობაში ჩაბმის საშუალებით. ჩვენ დავიწყეთ ასეთი მიმაგრება, მაგრამ ეს მუშაობა, ვერ არის გაშლილი სათანადოთ. ზოგი წარმოება არ უშვებს საწარმოში მოწაფეებს, რადგან „ის ხელს უშლის მუშაობასო". ამ საწარმოების ხელმძღვანელებს არ ესმით სკოლის პოლიტექნიზაციის მნიშვნელობა. თორემ როგორ შეიძლება საწარმოო პრაქტიკის წინააღმდეგ წასვლა?

საყოველთაო-სავალდებულო სწავლების 100 პროცენტით გატარება—ამთავრებს თავის მოხსენებას ამხ. დევდარიანი—ჩვენ შევძლებთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დავრაზმავთ მასებს კულტურული რევოლიუციის ამ ძირითადი ამოცანის გარშემო, გავითვალისწინებთ იმას, რომ საყოველთაო სწავლება ნაწილია ჩვენი საერთო შეტევისა კაპიტალისტურ ელემენტების წინააღმდეგ და აღმოფხვრით ოპორტუნისტულ დამოკიდებულებას ამ უაღრესად მნიშვნელოვანი პოლიტიკური ამოცანის მიმართ. (ტაში).

---

*) ვბეჭდავთ შემოკლებულ ანგარიშს. მოხსენების სტენოგრაფიული ანგარიში დაიბეჭდება ჩვენი გაზეთის მახლობელ ნომერში.

სოც. მშენებლობა საბჭოთა კავშირში

ერთად-ერთი გზაა მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად

ავსტრიის მუშები ილაშქრებენ ბაუერის თეზისების წინააღმდეგ

ვენა, 17 თებერვალი. „როტე ფანე"-ს გადმოცემით, ვენის სოც.-დემოკრატიული პარტიის აქტივის კონფერენციის მეორე დღე აღინიშნა მრავალი დელეგატის გამოსვლით ოტო ბაუერის თეზისების წინააღმდეგ მსოფლიო ეკონომიური კრიზისის დროებითი ხასიათის შესახებ. ეს თეზისები ბაუერმა წამოაყენა თავის მოხსენებაში ავსტრიის პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობის შესახებ.

ორატორები აღნიშნავდნენ, რომ სოციალისტური მშენებლობა საბჭოთა კავშირში წარმოადგენს ერთ-ერთ გზას მუშათა კლასის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ერთ-ერთი საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ლიბერმა განაცხადა:

„საბჭოთა კავშირში მუშათა კლასს დასახული აქვს გარკვეული მიზანი. მან იცის, რომ 5 ან 10 წლიწადი კიდევ უნდა იმუშაოს მძიმე პირობებში, რათა მიაღწიოს ამ მიზანს, ჩვენ კი არავითარი მიზანი არ მოგვეპოვება და არც ვიცით—რისთვის ვმუშაობთ".

მეორე დელეგატმა განაცხადა: „კაპიტალისტურ ქვეყნებში ბატონობს მასიური უმუშევრობა. პროლეტარულ საბჭოთა სახელმწიფოში კი კრიზისი დაძლეულია. ჩვენი მეთოდებით ჩვენ ვერასოდეს ვერ მივაღწევთ სოციალიზმს. მხოლოდ აშკარა და დაუინდობელი ბრძოლით შეიძლება სოციალიზმის დაპყრობა".

აგურის ქარხნების საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ხარვასმა დაასკვნა „მეტი აღარაფერი დაგვრჩენია, რომ ბოლშევიკებად გავხდეთ". (ადს).

უიმედო ოცნება

ბუქარესტის გაზეთი ლიტვინოვის ნოტის შესახებ

ვენა, 16 თებერვალი. ბუქარესტის გავლენიანი გაზეთი „ადევერულ"-ი ეხება ლიტვინოვის ნოტას და იმედოვნებს, რომ შესაძლებელი იქნება „საბჭოთა კავშირზე მორალური გავლენის მოხდენა".

„უკიდურეს შემთხვევაში,—განაგრძობს გაზეთი,—საშუალება მოგვეცემა გავეცნოთ საბჭოთა კავშირის ნამდვილ ზრახვებსა და გეგმებს და, თუ საჭირო იქნება, გავერთიანდეთ სამეურნეო დარგში. მის წინააღმდეგ, თუ კი საბჭოთა კავშირი გამოვა ქვეყნებში, როგორც ევროპის მტერი". (ადს).

ინტერვენციის განახლებაზე ცდა უიმედოა

ვანდერველდე მოითხოვს ნორმალური ურთიერთობის დამყარებას საბჭოთა კავშირსა და დანარჩენ ქვეყნებს შორის

პარიზი, 17 თებერვალი. როგორც ბრიუსელიდან იუწყებიან, ემილ ვანდერველდემ წაიკითხა ლექცია საბჭოთა კავშირის შესახებ.

ვანდერველდემ განაცხადა, რომ ამაოა ცდა განახლებულ იქნას სხვადასხვა სახით ინტერვენცია; საჭიროა დამყარდეს ნორმალური ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და სხვა ქვეყნებს შორის (ადს).

— : —

გაიხსნა დეპეშათა სააგენტოების პირველი საკავშირო თათბირი

მოსკოვი, 18 თებერვალი. გაიხსნა დეპეშათა სააგენტოების დაარსების [illegible] დეპეშათა სააგენტოების და პრესის წარმომადგენლების პირველი საკავშირო თათბირი, რომელიც მოიწვია საკავშირო დეპეშათა სააგენტომ. თათბირს ესწრება 140 კაცი, ამათგან 73 დელეგატი ადგილებიდან.

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს პასუხისმგებელმა ხელმძღვანელმა ამხ. დოლეცკიმ, რომელმაც გააკეთა მოხსენება ინფორმაციის და საკავშირო დეპეშათა სააგენტოს მუშაობის ამოცანების შესახებ, აღნიშნა, რომ თათბირი მოწვეულია საკავშირო და რესპუბლიკანური სააგენტოების ჩამოყალიბებიდან 6 წლის გასვლის შემდეგ. მთელი ამ ხნის განმავლობაში საკავშირო დეპეშათა სააგენტოს მუშაობისათვის პრესის მუშაკთა აქტივს არ გაუკეთებია სერიოზული ანალიზი და კრიტიკა. ამავე დროს სააგენტოების მუშაობა მეტად რთულ პირობებში მიმდინარეობდა. ამ წლებში პარტიამ უდიდესი მუშაობა ჩაატარა კაპიტალიზმის ნაშთების აღმოსაფხვრელად, უმაგალითო ტემპებით შენდება სოციალისტური მეურნეობა, ახალი კულტურა და ახალი ყოფა-ცხოვრება. მილიონიანი მასები ებმებიან კულტურულ ცხოვრებაში. ბუნებრივია, რომ სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის დამთავრების პერიოდში ამ ახალ პირობებში საგრძნობლად გაიზარდა ის მოთხოვნები, რომლებსაც ინფორმაციას უყენებენ. ჩვენი გაზეთების ყოველდღიურმა ტირაჟმა მიაღწია უდიდეს ციფრს — 27 მილიონ ცალს. ამ წლის დამლევს ჩვენ ყოველ რაიონში საკუთარი გაზეთი გვექნება. პრესის ზრდა განსაკუთრებულ ამოცანებს აკისრებს დეპეშათა სააგენტოებს. თუ წინად საკავშირო დეპეშათა სააგენტო მთავარ ყურადღებას ცენტრალური და სამხარეო გაზეთებს აქცევდა, ესლა მან გადაჭრით უნდა იბრუნოს პირი რაიონული პრესისაკენ. ქვედა საფეხურის პრესა უხვად უნდა იქნეს ინფორმაციით რომელიც კარგი ღირსებისა იქნება არა მარტო შინაარსით, არამედ ფორმის მხრითაც. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ ის საინფორმაციო მასალა, რომელსაც დეპეშათა სააგენტო ქვედა საფეხურის პრესას უგზავნის, არ მუშავდება კვალიფიციური მუშაკების უყოლობის გამო.

უცხოეთის ინფორმაციაში სრულიად არაა ასახული მუშათა ყოველდღიური ცხოვრება, მუშათა კლასის ყოველდღიური ბრძოლა, და შრომის პირობები კაპიტალისტურ ქვეყნებში.

რაც შეეხება აღნიშნულ სერიოზულ დეფექტებს საინფორმაციო სააგენტოების მუშაობაში, მათი აღმოფხვრის ძირითად მეთოდს წარმოადგენს კადრების რადიკალური გადაჭრა. კადრების საკითხი ამჟამად ერთ-ერთ უაღრესად მწვავე საკითხს წარმოადგენს. საჭიროა კადრების აღრიცხვა, მათი მომზადების და გადამზადების გაშლა და მათი შევსება დამკვიდრებული მუშკორებით და საუკეთესო საწარმოო მუშაკებით.

საღამოს სხდომაზე ინფორმაციის ამოცანების და საკავშირო დეპეშათა სააგენტოს მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. სვეტლოვმა.

შემდეგ თათბირმა მოისმინა ამხ. შაპიროს მოხსენება რუსეთის დეპეშათა სააგენტოს მუშაობის შესახებ. (ადს).

ამხ. კაპიტონ ჯანჯღავას ხსოვნას

ძვირფასი მეგობარი



ენერგიით აღსავსე, სოციალისტურ მშენებლობის ფრონტზე თავდადებული მებრძოლი—ამხ. კაპიტონი უდროოდ, სრულიად მოულოდნელად გამოაკლდა კომპარტიის რიგებს.

ძნელია ამ მწარე ფაქტის დაჯერება. თითქოს ამ სინამდვილეს ვერ ურიგდები.

ამხ. კაპიტონის სიკვდილი უფრო მეტად სამწუხარო და დამაღონებელია იმ ამხანაგებისათვის, რომლებიც მასთან ერთად რამდენიმე წლების განმავლობაში ქუთაისის პარტიულ ორგანიზაციაში მუშაობდნენ.

ვის არ ახსოვს ამხ. კაპიტონი ქუთაისის ოლქში კულტურულ აღმშენებლობის ფრონტზე? შეუდრეკელი შეტევა ყველა ჯურის გადახრების წინააღმდეგ პარტიის გენერალური ხაზისთვის! ვის არ ახსოვს, ქუთაისის ორგანიზაციიდან მისი თავგამოდებული საქმიანობა კოლმშენებლობის განვითარებისათვის?

სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში, ამხ. კაპიტონი ერთ-ერთი ხელმძღვანელად ითვლებოდა ქუთაისის ორგანიზაციაში.

აკი სათანადოთ შეფასდა ამხ. კაპიტონის სიმტკიცე, ბოლშევიკური გამძლეობა, მეყაოობა და საქმისადმი თავდადებულობა და პარტიამ მას, ცაგერის რაიონის ხელმძღვანელობა ჩააბარა.

ამხ. კაპიტონი შეუდგა პარტიის ნდობის გამართლებას. მან თავისი რამდენიმე თვის მუშაობით საგრძნობი კვალი დაჩინა ცაგერის პარტორგანიზაციას.

მაგრამ.. სიკვდილმა გამოგვტაცა ამხ. კაპიტონი იმ დროს, როდესაც ჩვენი ქვეყნისათვის სოციალისტურ ეკონომიკის საძირკვლის ასაშენებლად კაპიტონის მსგავსი ამხანაგები ასე ძვირფასი და საჭირონი არიან.

ამხ. კაპიტონ, შენი ამხანაგები განაგრძობენ იმ საქმეს რომლისთვისაც შენ მრავალი წელი იბრძოდი;

შენი ხსოვნა დაუვიწყარი იქნება ჩვენთვის!

მშვიდობით ჩვენო დაუვიწყარო ამხანაგო!

ერასტი ლვამიჩავა, ოტია კომახიძე, ხევერიანე მინდაძე, კაპ. კალანდაძე, ალ. საჯაია, სერ. ნამიჩეიშვილი, დავ. ბერიძე, გერ. ჯინჯოლია.

დაუვიწყარი ამხანაგი

ბუნების ულმობელმა კანონმა ხელიდან გამოგვტაცა სიცოცხლით სავსე, დაუშრეტელი ენერგიით და ნიჭიერი ახალგაზრდა ამხ. კაპიტონ ჯანჯღავა.

ამხ. კაპიტონის სახით კომუნისტურ პარტიამ დაკარგა ერთი საუკეთესო მებრძოლი ენთუზიასტი დიად სოციალისტურ აღმშენებლობის ფრონტზე.

ვინ იყო ამხ. კაპიტონი?

მშრომელ გლეხობის წიაღიდან გამოსული.

1918 წელს სამეგრელოში ბოლშევიკური აჯანყების დროს მენშევიკების ჯალათებმა აწამეს ჯერ კიდევ 16 წლის ახალგაზრდა. მენშევიკურ ჯალათებმა ციხეში ჩააგდეს მისი მამა, სადაც ის გარდაიცვალა. ახალგაზრდა კაპიტონზე ამან მეტად დიდი გავლენა იქონია. ის აღვსილი კლასობრივი სიძულვილით მენშევიზმისადმი, აქტიურად ჩაება რევოლიუციონურ ბრძოლაში. როგორც არალეგალობის დროს ისე საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ის სოციალისტურ მშენებლობის მოწინავე რიგებში იდგა.

10 წელია, რაც ამხ. კაპიტონი იზრდებოდა, მტკიცდებოდა და აქტიურად იბრძოდა კომუნისტური პარტიის რიგებში.

ამხ. კაპიტონი ჯერ საქ. კ. პ. (ბ) მარტვილის რაიკომის მდივანი, შემდეგ ს: კ. პ. (ბ) სენაკის სამაზრო კომიტეტის აგიტ-პროპ განყ. გამგე, იმავე მაზრკომის საორგ. განყ. გამგე, შემდეგ ს. კ. პ: (ბ) ქუთაისის საოლქო კომიტეტის აგიტპროპ. განყ. გამგე და ბოლოს ს. კ. პ. (ბ) ცაგერის რაიკომის მდივანი:

ყველა ამ სამუშაოზე ამხ. კაპიტონმა დაიმსახურა პარტიის სრული ნდობა და სიყვარული.

ჰასაკით ახალგაზრდა, მაგრამ პოლიტიკურად მომწიფებული, ნათელი გონების და შორს მჭვრეტელი ამხ. კაპიტონი 10 წ. განმავლობაში დაუღალავად და თავგანწირვით იბრძოდა და მუშაობდა იმისათვის, რათა ლენინის პარტიის იდეებს ხორცი შესხმოდა.

ამ იდეებს დღეს ხორცი ესხმება, ჩვენ შევედით უკვე სოციალიზმის პერიოდში, პარტიის მიერ დასახული დიდი ამოცანები: ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია იმარჯვებს.

ამ დიდ ამოცანების განხორციელებას თან ახლავს სიძნელეები, ამხ. კაპიტონი პარტმუშაკების იმ კატეგორიიდან იყო, რომელთაც ნათლად აქვთ წარმოდგენილი ეს სიძნელეები და ურყევი რწმენით არიან გამსჭვალულნი, რომ მათი დაძლევა სავსებით შესაძლებელია, რომ ამ სიძნელეებს არ შეუძლიათ შეაჩერონ მუშათა კლასის გამარჯვების დიადი ისტორიული გზა.

დღეს, როდესაც ესოდენ ძვირფასია პარტიისათვის ყოველი მებრძოლი ძნელია ამხ. კაპიტონის დაკარგვა.

მაგრამ მებრძოლი მოულოდნელად დაეცა... საყვარელი მეგობარი კაპიტონი მოკვდა..: მას არ დასცალდა მიეღო აქტიური მონაწილეობა საქართველოს საბჭოთა მე-6 ყრილობის მუშაობაში.

ის ვეღარ იხილავს საქართველოს მშრომელთა დიდ ზეიმს საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების 10 წლის თავზე. ის ვერ იქნება მონაწილე იმ დიდი ბრძოლების, რაც წინ უდგას კომუნისტურ პარტიას და მუშათა კლასს სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე, ლენინიზმის გასამარჯვებლად მთელ მსოფლიოში.

მუდამ იღიმიანად მომღიმარი სახე, დიდი მომავლის მოტრფიალე, საყვარელი და ძვირფასი მეგობარი კაპიტონის სახელი ამოიშალა მოქმედ აქტივთა სიიდან.

ძნელი და მწარეა ამ აზრის შეგუება. მით უფრო ძნელია ის უახლოეს მეგობრებისათვის...

მით უფრო მწარეა ამის მოგონება, რომ ბრმა შემთხვევის მსხვერპლი გახდი და დასახმარებლად ყველანი უძლურნი აღმოვჩნდით.

მშვიდობით კაპიტონ...

შენი სახელი მეგობართა წრეში ამოუშლელი დარჩება.

ივ. თოფურია, ვ. ქობულია, პ. ნადარეიშვილი, ე. გვასალია, ა. კვიკვეცია, გ. ლვინჯილია:

ამიერ-კავკასიის საბჭოების მე-6 ყრილობა

გაიხსნება სახელმწიფო ოპერის თეატრის შენობაში 1931 წლის 20 თებერვალს, საღამოს 6 საათზე.

დღის წესრიგი:

1. ა. კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის მთავრობის ანგარიში (მომხს. ამხ. ორახელაშვილი).
2. ა. კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის 1931 წლის სახალხო სამეურნეო გეგმის შესახებ (მომხს. ამხ. მ. ტერ ეგიაზარიანი).
3. მებამბეობის განვითარებისა და წყალთა მეურნეობის შესახებ ა. კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში (მომხს. ამხ. დ. ბუნიატ-ზადე).
4. ცვლილებები ა. კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის კონსტიტუციაში (მომხს. ამხ. ა. შავერდოვი).
5. ამიერ კავკასიის ცაკის არჩევნები.

ა. კ. ცაკის მდივანი ა. შავერდოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრონიკა

საიუბილეო ფეიერვერკი თავისუფლების მოედანზე

თბილისის საბჭოსთან გამოყოფილმა, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 10 წლის თავის დღესასწაულის ჩამტარებელმა საიუბილეო კომისიამ გადასწყვიტა, 25 თებერვალს თავისუფლების მოედანზე მოაწყოს დიდი ფეიერვერკი.

ნაჩვენები იქნება სხვადასხვა პიროტექნიკური ემბლემები და ფიგურები, მათ შორის ამხ. ლენინისა და სტალინის პიროტექნიკური სურათები.

ფეიერვერკის მოწყობას ხელმძღვანელობს პიროტექნიკოსი—ქალი —ნინა ჩეპატი.

სხვადასხვა

—განათლების მუშაკთა სახლში პარასკევს 20 თებერვალს საღ. 7 ს. ამხ. პ. აფხაძის მოხსენება „კონდრატიევშჩინა ქართულ პედაგოგიკაში" არ შესდგება.

— რაჭული სიმღერების საღამო. დღეს, საღამოს, რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში, ამხ. აბელ ენუქიძის სახელობის რაჭულ მომღერალთა გუნდი მართავს დიდ კონცერტს სამ განყოფილებათ. რაჭული სიმღერების გარდა შესრულებული იქნება საქართველოს სხვადასხვა კუთხეების ხალხური სიმღერებიც.

საშეფო ორგანიზაციები

თებერვლის ბოლო რიცხვებისათვის თბილისში მოწვეულია საქართველოში არსებული საშეფო ორგანიზაციების პირველი რესპუბლიკანური ყრილობა. ყრილობის დღის წესრიგში დასმულია ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის საწარმოო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებული საკითხები კოლმეურნეობათა მშენებლობის დარგში.

საშეფო ორგანიზაციების რესპუბლიკანური ყრილობის მოწვევის წინ ჩატარებული იქნება ცალკე საშეფო ორგანიზაციების რაიონული და საქალაქო კონფერენციები, სადაც წინასწარ იქნება შემუშავებული ყრილობის მუშაობის გეგმა.

თბილისში ამჟამად უკვე მიმდინარეობს ქალაქის რაიონის და 26 კომ. სახ. რაიონის საშეფო ორგანიზაციათა რაიონული კონფერენციები. კონფერენციებზე გაკეთებული მოხსენებებიდან ირკვევა, რომ საშეფო ორგანიზაციებს დიდი მუშაობა შეუსრულებიათ სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კამპანიების ჩატარებაში. საშეფო საზოგადოების ქალაქის რაისაბჭოს, მაგალითად, შემოდგომის თესვის კამპანიის ჩასატარებლად თავის საშეფო სოფლებში გაუგზავნია — 9 სარემონტო, 2 საექიმო, 4 აგრონომიული და 129 საგიტაციო ბრიგადა. 1930 წლის გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ჩასატარებლად, საშეფო სოფლებში გაგზავნილი ყოფილან 19 სარემონტო, 2 საექიმო და 4 აგრონომიული ბრიგადა. ყველა ბრიგადებს შემოუვლიათ და მუშაობა ჩაუტარებიათ 119 სოფელში.

საშეფო ორგანიზაციების პირველ რესპუბლიკანურ ყრილობაზე გამოყოფილი იქნება საშეფო მუშაობის რესპუბლიკანური ხელმძღვანელი ორგანო—საშეფო მუშაობის ცენტრალური საბჭო.

მწერალთა კლუბი გაიხსნა

მწერალთა კლუბის გახსნამ მიიზიდა არა მარტო ხელოვნების მუშაკნი, არამედ საბჭოთა ფართო საზოგადოებრიობაც.

აუარებელი ხალხის თანდასწრებით საბჭოთა მწერლების ფედერაციის პ.-მგებელმა მდივანმა ამხ. შ. რადიანმა გახსნა საღამო.

მწერალთა კლუბის ამოცანებისა და მისი დანიშნულების შესახებ სიტყვები წარმოსთქვეს ფედერაციის სახელით ამხ. სიმ. ჩიქოვანმა და პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის წარმომადგენელმა ამხ. ს. წვერავამ.

შემდეგ კლუბის გახსნასთან დაკავშირებით საბჭოთა მწერლების ფედერაციას მიესალმნენ: განათლების კომისარიატის ხელოვნების და ლიტერატურული სექტორის სახელით აკ. ფაღავა, ხელოვნების მუშაკთა კავშირის დავალებით—პროფ. მ. თოიძე, მხატვართა კავშირის დავალებით—ამხ. ნაცვლიშვილი, რუსთაველის თეატრის სახელით—გ. დავითაშვილი, მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით არსებულ თეატრის წარმომადგენელი—შ. ღამბაშიძე, აბრეშუმის ფაბრიკის მუშების სახელით —ამხ. კოტია, სომეხ პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის და საბჭოთა მწერლების ფედერაციის სახელით—დარფინიანი, თბილისის საბჭოს სახელით—ამხ. ს. დოლიძე, პოლიგრაფიულ სკოლის წარმომადგენელი ამხ. ლუარსაბოვი და სხვ.

მეორე განყოფილებაში ლექსები წაიკითხეს: გ. ტაბიძემ, ფ. ნარიმუშვილმა, ს. ჩიქოვანმა, რაჟ. გვეტაძემ, ი. აბაშიძემ, გ. ქუჩიშვილმა, ვ. გაბესკირიამ.

შემდეგ დეკლამაციით გამოვიდნენ მსახიობები: თამარ ჭავჭავაძე, გოძიაშვილი, ნ. მესხიშვილი და აკაკი ვასაძე.

დასასრულ გაიმართა კონცერტი ოპერის საუკეთესო ძალების მონაწილეობით.

ამავე საღამოზე საბჭოთა მწერლების ფედერაციამ მიიღო შეფობა პოლიგრაფიულ სკოლაზე.

კლუბის გახსნის დღეს გამოვიდა კედლის გაზეთის „საბჭოთა მწერალი"-ს პირველი ნომერი.

კლუბის კალენდარი

— ჭადრაკის საღამო. დღეს მწერალთა კლუბში გაიმართება ჭადრაკის საღამო.

20 თებერვალს გამოსასვლელი დღე.

— საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების 10 წლის თავის აღსანიშნავად 21 თებერვალ გაიმართება დიდი საღამო-მოხსენებები, პოეტების გამოსვლა.

—„ზემო-ქედის კომუნა". 22 თებერვალს დრამკომი აწყობს სახკინმრეწვის ახალ სურათის „ზემო-ქედის კომუნა"-ს განხილვას. სურათის რეჟისორი—შ. ხუსკივაძე.

— დისპუტი. 23 თებერვალს გაიმართება დისპუტი მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით არსებულ თეატრის მიმდინარე სეზონზე.

— დრამკომი 24 თებერვალს აწყობს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან 10 წლის თავის აღსანიშნავ საღამოს.

კლუბი ღიაა დღით 4 ს. და საღამოს 7 საათიდან.

დროებითი ინსტრუქცია

ამიერ-კავკასიის შრ. სახ. კომ. არსებულ სოცდაზღვევის მთავარ სამმართველოსი 1931—30 იანვრისა

„ამიერ-კავკასიის შრომის და ფინანსთა სახალხო კომისარიატების და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს 1931 წ. 21 იანვრის დადგენილების № 7" შრომის უნარის დროებით დაკარგვის გამო დახმარებათა გამოანგარიშების და გაცემის წარმოება-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებზე გადაცემის თაობაზე „გამოყენების შესახებ".

შრომის უნარის დროებით დაკარგვის გამო დახმარების გამოანგარიშების და გაცემის ახალი წესის გეგმიანათ და დაუბრკოლებრივ გატარების მიზნით, ამიერ-კავკასიის სოც. დაზღვევის მთავარი სამმართველო წინადადებას იძლევა ამიერ-კავკასიის შრომის და ფინანსთა სახ. კომ. და სმუსის 21/1 დადგენილებით № 7 ცხოვრებაში გატარების დროს იხელმძღვანელონ შემდეგით:

1. შრომის უნარის დროებით დაკარგვის გამო დახმარებათა გამოანგარიშება და გაცემის საქმის გადაცემა ყველა იმ წარმოებებსა, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, რომლებზედაც ვრცელდება ამიერ-კავკასიის შრომის და ფინანსთა სახ. კომ. და სმუსის 21/1 1931 წ. დადგენილება უნდა დასრულდეს არა უგვიანეს ა. წ. 1 აპრილისა.

დამზღვევ ორგანოებს ეკისრებათ თავის დროზე გაუწიონ სრული ინსტრუქტაჟი წარმოება-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს ამ ინსტრუქციის გამოყენებისა და აგრეთვე მომავალში ამ ინსტრუქციაში შეტანილ ცვლილებების შესახებ.

შრომის უნარის დროებით დაკარგვის გამო უზრუნველყოფის ხანგრძლივობა და სახეობები

2. შრომის უნარის დროებით დაკარგვის გამო დახმარებები სოციალური დაზღვევის ორგანოების მიერ გაიცემიან შრომის უნარის დაკარგვის შემდეგ შემთხვევებში:

ა) ავადმყოფობის გამო (საერთო ავადმყოფობის, პროფესიონალური დაავადების და შრომასთან დაკავშირებულ დასახიჩრების გამო);

ბ) ფეხმძიმეობისა და მშობიარობის გამო;

გ) კარანტინისა და

დ) ოჯახის ავადმყოფ წევრის მოვლის დროს.

3. შრომის უნარის დროებით დაკარგვის გამო, ყველა სახეების დახმარებათა გაცემა სწარმოებს იმ შემთხვევაში, თუ შრომის უნარის დაკარგვა მოხდა დაქირავებით მუშაობის პერიოდში (სამუშაოზე დაქირავების დროს გამოცდისათვის საჭირო პერიოდის ჩართვით).

სამუშაოდან დათხოვნის შემდეგ, შრომის უნარის დროებით დაკარგვის გამო დახმარება არ გაიცემა, თუნდაც შრომის უნარის დაკარგვა მოხდა იმ დროის განმავლობაში, რა დროისაც დაზღვეულს მიღებული აქვს გასასვლელი დახმარება.

4. საერთო დაავადების, ფეხმძიმობის, მშობიარობის, კარანტინის და ოჯახის ავადმყოფ წევრის მოვლის გამო შრომის უნარის დროებით დაკარგვის დროს, დახმარების მიღების უფლებით სარგებლობენ დაქირავებით მომუშავე ყველა პირები, რომლებზედაც ვრცელდება სრული ან ნაწილობრივი დაზღვევა 1-ლი ჯგუფის მიხედვით.

ამასთანავე ის პირები, რომლებზედაც ვრცელდება ნაწილობრივი დაზღვევა 1-ლი ჯგუფის მიხედვით, ფეხმძიმობის და მშობიარობის შემთხვევებში შრომის უნარის დროებით დაკარგვის დროს უზრუნველყოფიან მხოლოდ იმ პირობით, თუ მათ უმუშავნიათ დაქირავებით სულ შეერთებით არანაკლები ერთი წლისა, მათ რიცხვში არანაკლები 6 თვისა უშუალოდ ფეხმძიმობის გამო შვებულების მიღებამდე.

შრომის უნარის დროებით დაკარგვის გამო დახმარების მიღების პერიოდი ჩაითვლება დაქირავებით მუშაობის სტაჟში.

5. პროფესიონალური დაავადების ან შრომასთან დაკავშირებულ დასახიჩრების გამო შრომის უნარის დროებით დაკარგვის დროს, დახმარების მიღების უფლებით სარგებლობენ დაქირავებით მომუშავე ყველა პირები, რომლებზედაც ვრცელდება სრული ან ნაწილობრივი სოციალური დაზღვევა.

6. დახმარება ავადმყოფობის ან დასახიჩრების გამო გაიცემა შრომის უნარის დროებით დაკარგვის პირველ დღიდან მის აღდგენის დღემდე ან შრომის უნარის მუდმივად დაკარგვის (ინვალიდობის) გამორკვევამდე, მხოლოდ და მხოლოდ საავადმყოფო ფურცლით.

7. ფეხმძიმობის და მშობიარობის გამო შრომის უნარის დროებით დაკარგვის დროს, დახმარება ეძლევათ დაზღვეულ ქალებს:

ა) მშობიარობამდე რვა კვირის და მშობიარობის შემდეგ რვა კვირის განმავლობაში, თუ ისინი ფიზიკურ შრომას ეწევიან, ან გონებრივ და კანტორის შრომის ისეთი პროფესიებს ეკუთვნიან, რომელთათვისაც შრ. სახ. კომ. სპეციალური დადგენილებით ფეხმძიმობის გამო შვებულებათა ვადები შემოღებულია რვა კვირა მშობიარობამდე და რვა კვირა მშობიარობის შემდეგ;

ბ) მშობიარობამდე ექვსი კვირის და მშობიარობის შემდეგ ექვსი კვირის განმავლობაში—სხვა ყველა დანარჩენ შემთხვევებში.

იმ შემთხვევაში, თუ მშობიარობამდე შვებულების ფაქტიური ხანგრძლივობა მეტი ან ნაკლებია ზემოაღნიშნულ ვადებზე, მშობიარობის შემდეგ დახმარება გაიცემა უსათუოდ დაწესებულ ხანგრძლივობის (6 ან 8 კვირა).

ფეხმძიმობის და მშობიარობის გამო შრომის უნარის დაკარგვის დახმარება წარმოება-დაწესებულების მიერ გაიცემა მხოლოდ იმ ხანგრძლივობით, რაც ნაჩვენებია საავადმყოფო ფურცელში.

8. კარანტინის და ოჯახის ავადმყოფ წევრის მოვლის გამო დაზღვეულის სამუშაოზე გამოუცხადებლობის შემთხვევებში, დახმარება გაიცემა მხოლოდ საავადმყოფო ფურცლებით და იმ ვადების განმავლობაში, რაც მასშია ნაჩვენები:

9. როდესაც შრომის უნარის დროებით დაკარგვას ადგილი აქვს წარმოებაში სამუშაოს დროებით შეწყვეტის პერიოდში და მუშებს ხელფასი ეძლევათ შრომის კანონთა კოდექსით განსაზღვრულ რაოდენობით — დახმარება არ გაიცემა.

თუ შრომის უნარის დროებით დაკარგვა გრძელდება წარმოებაში მუშაობის განახლების ან წარმოების ლიკვიდაციის შემდეგ, დახმარება გაცემული უნდა იქნეს დღიდან წარმოებაში მუშაობის განახლებისა ან წარმოების ლიკვიდაციისა.

აგრეთვე, თუ შრომის უნარის დროებით დაკარგვას ადგილი აქვს უხელფასო შვებულებაში ყოფნის დროს, იმ დღეების დახმარება, რომლებიც მოდის უხელფასო შვებულებაზე არ გაიცემა, დახმარება გაიცემა უხელფასო შვებულების გათავების დღიდან, თუ შრომის უნარის დროებით დაკარგვა გრძელდება უხელფასო შვებულების ვადის გათავების შემდეგ.

10. დაზღვეულის მორიგ (ძირითად ან დამატებითი) შვებულებაში ყოფნის დროს, ავადმყოფობით გამოწვეული შრომის უნარის დროებით დაკარგვის გამო, მორიგ შვებულებაში ნაავადმყოფარ დღეების დახმარება—გაიცემა მხოლოდ იმ პირობით, თუ ავადმყოფი წოლიარეა და ს.ს.რ.კ. შრომის სახ. კომისარიატის დადგენილების თანახმად საჭიროა შვებულების გაგრძელება.

თუ დაზღვეულის მორიგ შვებულებაში ყოფნის დროს, ადგილი ექნება სხვა სახის შრომის უნარის დროებით დაკარგვას (მუხ. 2) დახმარება შრომის უნარის დროებით დაკარგვის გამო არ გაიცემა.

11. განათლების მუშაკებს არდადეგების პერიოდში შრომის უნარის დაკარგვის გამო დახმარება მიეცემათ დ.-კასიდან მიუხედავად იმისა, შრომის უნარის დაკარგვას ადგილი ჰქონდა არდადეგების დაწყებამდე, თუ მის შემდეგ.

მე-10 მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვა განათლების მუშაკებზე არ შეიძლება გავრცელდეს თუ მორიგი შვებულება განათლების მუშაკს მიცემული აქვს არდადეგების პერიოდში.

12 სეზონური ხასიათის სამუშაოებზე დაქირავებით მომუშავე პირებს შრომის უნარის დაკარგვის გამო დახმარება ეძლევათ სეზონის დამთავრებამდე. იმ შემთხვევაში, როდესაც შრომის უნარის დროებით დაკარგვა გრძელდება სეზონის დასრულების შემდეგაც, დაზღვეული დახმარებას ღებულობს უმუშევრობის გამო, თუ მას ასეთის მიღების უფლება აქვს; ამასთანავე ცალკე შემთხვევებში, მძიმე ავადმყოფობის დროს, დამზღვევ კასებს შეუძლიათ გასცენ უმუშევრობის გამო დახმარება, ამ უკანასკნელის მიღების უფლების მიუხედავად.

სეზონური ხასიათის სამუშაოებში დაქირავებით ჩაბმულ პირებს (შრომასთან დაკავშირებულ დასახიჩრებით ან პროფესიონალური დაავადებით გამოწვეულ შრომის უნარის დროებით დაკარგვის გამო—დახმარება ეძლევათ შრომის უნარის აღდგენამდე ან ინვალიდობის გამორკვევამდე.

სეზონურ სამუშაოებათ ითვლებიან ის სამუშაოები, რომელთა სიებს ადგენს სსრკ შრ. სახ. კომ. არსებულ სოცდაზღვევის საკავშირო საბჭოს ან საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის რესპუბლიკის სოც. დაზღვევის კომიტეტები.

13. იმ პირებს, რომლებიც ჩაბმული არიან სამუშაოებზე, როგორც დროებითი მუშები და მოსამსახურეები („დროებით მუშების და მოსამსახურეების შრომის პირობების შესახებ" სსრკ ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლ. 14 იანვრის დადგენილების 1-ლი მუხლი, სკრკ კანონ. კრებული 1927 წლ. № 9 მუხ. 89 შრომის უნარის დროებით დაკარგვის გამო, დახმარება ეძლევათ:

ა) განსაზღვრულ ვადით დაქირავების დროს—არა უგვიანეს დაქირავების ვადის გათავებისა;

ბ) განუსაზღვრელ ვადით დაქირავების დროს—არა უგვიანეს ორი თვისა, დღიდან სამუშაოზე შესვლისა, ხოლო ისეთ შემთხვევაში, თუ მომუშავე დაქირავებულია სამუშაოდან დროებით წასული მუშა, ან მოსამსახურის შესაცვლელად—არა უგვიანეს 4 თვისა—დღიდან სამუშაოზე შესვლისა

თუ შრომის უნარის დროებით დაკარგვა გრძელდება ზემოაღნიშნულ ვადების გასვლის შემდეგაც, დაზღვეული ღებულობს უმუშევრობის გამო დახმარებას, თუ მას ასეთის მიღების უფლება აქვს.

დასახიჩრებით ან პროფდაავადებით გამოწვეული შრომის უნარის დროებით დაკარგვის შემთხვევაში, დროებით მუშებს და მოსამსახურეებს დახმარება ეძლევათ შრომის უნარის აღდგენამდე ან ინვალიდობის გამორკვევამდე.

შენიშვნა: ეს მუხლი არ ვრცელდება იმ დროებით მუშებზე, რომლებიც თავის პროფესიის მიხედვით, სისტემატიურად გადადიან ერთი სამუშაოდან მეორეზე (აღმშენებლები, მტვირთავები და სხვ.).

მომუშავეთა ამ კატეგორიებისათვის დახმარებათა გაცემა გადაეცემა დაწესებულებებს რესპუბლიკის სოც. დაზღვევის კომიტეტების გადაწყვეტილებით განსაკუთრებულ ინსტრუქციის საფუძველზე. სხვა შემთხვევებში ის პირები, რომლებიც თავის პროფესიის ხასიათის მიხედვით სისტემატიურად გადადიან სამუშაოდან-სამუშაოზე (მტვირთავები, აღმშენებლები) დახმარებას იღებენ დ. ორგანოებიდან.

დახმარების გამო—ანგარიშების და გაცემის წესი.

14. შრომის უნარის ყველა სახეების დახმარების გამოანგარიშება სწარმოებს საშუალო ხელფასის კოლექტიური ხელშეკრულებით შემოღებულ წესის თანახმად.

თუ კოლექტიური ხელშეკრულებით არავითარი განსაკუთრებული წესი გათვალისწინებული არ არის, დახმარება გამოანგარიშებული უნდა იქნეს ს.ს.რ.კ. შრომის სახალხო კომისარიატის 1930 წ. 2 აპრ. დადგენილებით № 142 (საშუალო ხელფასის და არა სრული თვის ანაზღაურების შესახებ (გამოქვეყნებულია ა.-კ. შრომის კომისარიატის მოამბეში № 9—1930 წ.) შემოღებულ წესის საფუძველზედ.

დაზღვეულის ხელფასი აღებული უნდა იქნეს შრომის უნარის დროებით დაკარგვამდი უკანასკნელ სამუშაოს (თანამდებობის) მიხედვით.

იმ პირებისათვის დახმარების გამოანგარიშების დროს, რომლებიც ხელფასს იღებენ თვიურად წარმოებებმა-დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა მტკიცეთ უნდა დაიცვან შემდეგი წესი: თუ სამსახურის ადგილის მიხედვით მიღებულ ხელფასის და შრომის უნარის დრ. დაკარგვის გამო დახმარების ჯამი მეტი ან ნაკლებია იმ საშუალო თვიურ ხელფასზედ, საიდანაც გამოანგარიშებულია შრომის უნარის დროებით დაკარგვის გამო დახმარება, დახმარების ჯამი სათანადოთ შემცირებული ან გადიდებული უნდა იქნეს დამზღვევ ორგანოს ანგარიშზედ

შენიშვნა: ამ წესიდან გამონაკლისის სახით დახმარება ეძლევათ:

ა) იმ პირებს, რომლებმაც აღნიშნულ წარმოებაში იმუშავეს ერთ თვეზე ნაკლები დროის განმავლობაში და ხელფასს იღებენ არა თვიურად (ნაჭრობით, აკორდით და სხვა) დღიური დახმარების რაოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს მისს ერთნახევარ სატარიფო განაკვეთს;

ბ) სახელმწიფო დაზღვევის აგენტებს დახმარება უნდა გამოანგარიშონ იმ ხელფასის მიხედვით, რომლიდანაც ხდება დასაზღვევ ანარიცხების გადახდა.

გ) სახელმწიფო ცირკების არტისტებისათვის დახმარების გამოანგარიშების დროს მხედველობაში უნდა იქნეს ის ხელფასი, საიდანაც ადმინისტრაცია იხდის დასაზღვევ ანარიცხებს საამორტიზაციო თანხების გამოკლებით;

დ) შეგირდებს, რომლებიც მუშაობენ შინამრეწველ-ხელოსნებთან, სარეწაო კოოპერაციაში და შრომის არტელებში დახმარება შრომის უნარის დრო. დაკარგვის გამო ეძლევათ ამა თუ იმ რაიონში, ამა თუ იმ შინა-სამრეწველო დარგის შეგირდთა საშუალო ხელფასის მიხედვით;

(შემდეგი იქნება)

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— საქართველოს კ.პ. (ბ) „26" კომუნარის სახელობის რაიკომი წინადადებას იძლევა 21 თებერვლიდან 24 თებერვლამდე (ჩართვით) ჩატარებულ იქნას მოხსენებები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 10 წლის შესრულებისა და წითელი არმიის მე-13 წლისთავის შესახებ, საშეფო ნაწილებთან ერთად.

წინადადება ეძლევა უჯრედთა მდივნებს შეუთანხმდნენ დღესასწაულის ჩასატარებლად დღის დანიშვნის შესახებ ამისათვის გამოყოფილ მომხსენებლებს. მომხსენებლებად არიან „26" კომუნარის სახელობის რაიონში შემდეგი ამხანაგები:

1. მეტყავეთა ტრესტის კლუბი—ვ. ავაქოვი (ფეხსაცმელების ფაბრიკა, ტყავის ქარხ. № 1—2, ბოქლის ფაბრიკა). 2. ნარიმანოვის კლუბი—ვეზიროვი და მინასიანი. 3. მშენებელთა კლუბი—ა. შახსუვაროვი, 4. არსენალი—ე. ასრიბეკოვი. 5. წყალსადენის სახელოსნოები—ს. როსტიაშვილი. 6. ნავთლუღი—ვანო სტურუა. 7. მკერავი № 1 ყურულაშვილი. 8. მკერავი № 2—ვაჰან გრიგორიან. 9. ქალაქ. პირველი საავადმყოფო—კ. ცომაია. 10. სარეწაო კავშირი—ჰურღულია კიზირია. 11. სასაკლაო—სისიანი. 12 ჯაგრის ფაბრიკა—პეროიანი. 13. მტვირთავები—ლ. ბაბაჯანოვი. 14. ბამბისა და ქაღალდის [illegible] ფაბრიკა—მესკინი. 15. სტრიკოტაჟის ფაბრიკა—ვარტუმ ხერუმიანი. 16. ქიმკომბინატი—დ. რუხაძე. 17. საპნის ქარხანა—ხანანოვი. 18. ზეთის სახდელი ქარხანა— ს. პოლოსიანი. 19. მელითონეები—ისრაელოვი. 20. საწყობი № 24—კარაპეტოვი. 21. მაკარონის ფაბრიკა—ტ. აბრამიანი. 22. საკონდიტრო ფაბრიკა—კანჩაკი. 23. პურის მცხობელები—ლ. ბეგანოვი. 24. სასურსათო ბაზა—სივანკო. 25 ძეხვის ქარხანა—ულუხანოვი. 26. [illegible] („ფასოვოჩნაია") ფაბრიკა—დოლიძაშვილი. 27. საქ. საქსანშენის („გრუზპრომსტროი") — გარინი, 28. „ზაკტრესტოლ" — ხალილოვი, 29. „ზაკპოლიგრაფ[illegible]"—კურიაკოვი. 30. ქალაქის ტვირთმზიდავები—მ. სკანდაროვი. 31. მშრ. [illegible] მიწათმოქმედები კომიტეტი—ლისიცინი. 32. „როსმეტალტორგ"—ივანოვი. 33. საწყობი № 7—34. საბინაო ამხანაგობათა უჯრედი—35. სახელმწიფო პოლიტსამმართველოს საბჭოთა მეურნეობა—სადაგლიშვილი. 36. ა.-კ. სამთო-ქიმიური ინსტიტუტი—ალავერდიანი. 37. მებაღეები—სადაღლიშვილი. 38. ა.-კ. სამეტალურგიო ინსტიტუტი—კორსაველი. 40. „საქართველოს აბრეშუმის" სტრიკოტაჟო ფაბრიკა—ჩიჩუა. 41. სახელოსნო „პიონერ"-ი—ატრიანი. 42. საკონსერვო ფაბრიკა—მანუჩარიანი. 43. ა.-კ. საგამოკვლევო-გეოლოგიური ინსტიტუტი—დოლიძაშვილი და კვინიკაძე. 44. „რუსკი სამოცვეტ"—დავთიანი. 45. 8 მარტის სახელობის კოლექტივი—ჰკვიანოვისა. 46. ხე-ტყის სახერხი ქარხანა—კაკულია. 47. „უსტანოვკა"—მინას. 48. აგურის ქარხანა—ხანიკიანი. 49. მტვირთავები—ალასი ვარდანიანი. 50. „ზაკგლავტორგ"—ს. სვანიძე. 51. საქართველოს სახვაჭრობა—ვასო არეშიძე. 52. სახე[illegible] —გიორგაძე. 53. სმუს-ი ე. მზარეულაშვილი. 54. ტყავ-[illegible]—იუზბაშევი. 55. „სოიუზხლებ"—ბელიკინი. 56 მილიცია—ბელელაძე. 57. „ავტო", „სოიუზმიასო"—ამატუნი. 58. ქალაქის გასუფთავების სამმართველო—59. „ზაკუტილ"—შამაროვი. 60. კამოს სახელობის საქარხნო-საფაბრიკო მოწაფეობის სკოლა—ყამერაული. 61. მუშფაკი—ლისოვსკი. 62. მასწავლებელთა უჯრედი—მახდინაროვი. 63. თურქული პედტექნიკუმი—ასკრი. 64. იზოლიატორი—არამ მინასიანი. 65. სასოფლო-სამეურნეო სკოლა—კვერცხიშვილი. 66. სოლანლუღი—კაკაბაძე. 67. საქართველოს გზატკეცილი—კობიძე. 68. ყარაია—ჰამიდ სულტანოვი, ჯამალ ომაროვი, აზიზ აზიზოვი.

— საქ. კ.პ. (ბ) ცეკას კადრების განყოფილება სთხოვს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდნენ (ოთ. № 51) დღეს, 19 თებერვალს, დღის 12 საათზე.

ამხ. კალაძესთან უნდა გამოცხადდნენ შემდეგი ამხანაგები: როინაძე დავით (ფანერის ფაბრიკა), სულაძე შიო, კერესელიძე რომან, ხუბაევი ანტონ (ა.-კ. მებამბეობის კომიტეტი), ძილიხოვი გიორგი (ა.-კ. კომ. უნ.), ქოქიშვილი გიორგი („), ცხოვრებოვი ლადო („).

ამხ. ავეტისოვთან უნდა გამოცხადდნენ შემდეგი ამხანაგები: გაბისონია (სახელმწიფო ბანკი), შ. გიმბართელი (ხელოსან. შინამრეწვ. კავშირი), პეტრე ნადარეიშვილი (მესაქონლ. კავშირი), პოლოსოვი (თბ. განათლ. განყ.), ბლიაშვილი ივანე.

— ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს, რომელნიც მობილიზაციის წესით ერთი თვის ვადით რაიონში არიან გაგზავნილნი, წინადადება ეძლევათ 19 თებერვალს, დღის 1-ლ საათზე გამოცხადდნენ საქ. კ. პ. (ბ) ცეკას აგიტმასიურ განყოფილებაში: ჯაბადარი (შრომის კომისარიატი), ლაშქარაშვილი (ცეკავშირი), სილენკო (რკ. გზების ჯანმრთელობის განყ.), დვალი (საგეგმო კომისია), ლომიძე (სახდაზღვევა), მახარაძე (მკერავი), პოკერია (წერა-კითხვა), პარკაძე (რევოლუციის მუზეუმი), მეავანაძე (სამედიცინო ინსტიტუტი), ალავიძე (რუსთაველის თეატრი), გვაზავა („კომუნისტი"-ს რედაქცია), ბეჟვაია (პოლიტინსტიტუტი), ენუქიძე (წითელი ჯვარი). გრიგორიანი (მკერავი), ჩუბინიძე (სახკინმრეწვი), ბუხნიკაშვილი (ცეკავშირი).

— ს.კ.პ. (ბ) ც.კ. საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყ. სასწრაფოდ იწვევს ამხ. თუშიშვილ ნიკოლოზს და ფანიევს (საბინაო კავშირი) ამხ. კიზირიასთან (ოთახი № 15).

—:—

დღეს, 12 საათზე, საქ. კ.პ. (ბ) ცეკას საორგანიზაციო განყოფილებაში (ოთ. № 15) ამხ. კაკულიასთან შესდგება თათბირი, რომელზედაც სავალდებულოა შემდეგი ამხანაგების დასწრება: რამიშვილი, იმედაძე, გოორიძე, სტურუა, შაბანოვი, კალანიანი, გრ. შენგელია, საშა ჯაფარიძე, ნალბანდიანი, ტ. კორსაველი, საყვარელიძე, ბეგელაძე, ჩხიტიანი, ჭანკვეტაძე, კიზირია, ტ. ადამიძე, სილაძე (26 კომუნ.) და სოსიანი.

—:—

დღეს, საღამოს 6 საათზე, პლეხანოვის სახელობის კლუბში მოწვეულია ლენინის რაიონის უჯრედთა ბიუროების კონფერენცია კომუნისტ-სამეურნეო მუშაკების და ფაბ-ქარხადგილკომების თავმჯდომარეების მონაწილეობით.

—:—

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტის აგიტაციისა და მასიური მუშაობის განყოფილებაში 19 თებერვალს, საღამოს 5 საათზე შესდგება კომპარტიის (ბ) ცენტრ. კომიტეტის მიერ მობილიზაციაქმნილ 25 ათასელთა ბრიგადირების თათბირი. თათბირზე დაუგვიანებლად დასწრება სავალდებულოა.

ქართული სახელმწიფო დრამა მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით

19 თებერვალს
მე 3 აბონ. მე 5 წარმოდ.
სამი გლეხი

21 თებერვალს
მე-2 აბონ. მე-5 წარმოდ.
„ყვარყვარე თუთაბერი

წარმოდგენის დღის 2 საათზე ვინც არ შემოიტანს [illegible] წარმოდგენას ვერ დაესწრება და მათი ადგილები გაიყიდება სალაროში. ნ. 404

საქ. კომუნალური ბანკი

აცხადებს, რომ მარტის 1-ლს, დღის 12 საათზე, ბანკის შენობაში, პუშკინის ქუჩა № 3

დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა**

სარემონტო-სააღმშენებლო გრძელვადიანი სესხის უზრუნველსაყოფად, ბანკში დაგირავებულ ქვემოდ დასახელებულ შენობებზე.

გასაყიდ შენობების შეძენის მსურველებმა ვაჭრობის დაწყებამდე უნდა შემოიტანონ ამ სიაში აღნიშნული დავალიანება.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ბანკში, ყოველ დღე, გრძელვადიან კრედიტების განყოფილებაში.

	გვარი, სახელი და მამის სახელი	დავალიან.	ვადა გადაც.	მისამართი
1072	შალამბერიძე ევგენი ლუკას ძე	152—	152—	პეტრიაშვილის ქ. № 28.
1334	ჭანტურია კრისტეფ. ნიკოლოზის ძე	293—	293—	მე-9 უბ, 9 იანვრ. ქ. № 16.
1344	ბახტაძე ელენე ლუკას ასული	313—	200—	ბოცვაძის ქუჩა
1704	დულაშვილი მიხეილ ხუც. ძე	217—50	141—50	მე-9 სამ. უბ. დილომ ბარისახის ქ. № 2.
1635	მელოიანცი ბეგლარ ალექს. ძე	331—67	150—	რიადოვის ქუჩა.
1602	სიდოროვა ჰენრიეტა თედორ. ასული	228—75	197—75	სემიონოვის „პასელიოკი"
1551	ბერძენიშვილი კარლ პავლეს ძე	108—76	108—76	კოჩეტკოვის ქუჩა.
1342	წამალიშვილი ნიკოლოზ თევდ. ძე	180—	60—	საყუდის ქ, მე-11 უბანი.
1501	კოროევა ტატიანა თევდ. ასული	100—	100—	ერისთავის და ჟორესის ქ. კუთხე, № 5/50.
1386	ნერსესოვი სტეფანე არუთინას ძე	114—65	114—65	კახეთის ქ. №, კალ. № 595ა
1110	რევაზიშვილი ნინო	2924—	476—14	იზმაილოვის ქ. № 5.
1109	სარაია მამედ კიზიზ და ბოკერია დავით გრიგ. ძე	563—54	563—54	ვარდისუბნის ქ. და მლეთის შე. № 10/13.
1097	სოკოლოვი მალალეინ პლატ. ძე	250—	250—	ყიფიანის ქ. № 25.
119	ბოკერია პოლიკარპე გრიგოლის ძე	635—08	635—08	მოსკოვის ქუჩა № 10.

ნ 401

კ ი ნ ო
პ ა ლ ა ს ი
1-ლი სეანსის დასაწ. 6—30

ახალი მხატვრული ფილმი
პირის პირ
მთავარ როლებში
ი. ვოლოდკო და მ. დობროვა.

რ. ლიფშ
სახ. კინო
(ყ. მინიონი)
1-ლი სეანსის დას. 6 ს. 30 წ.

უცხოეთის ახალი ფილმი
პორი PORI პორი
სურათში გადაღებულია ნადირობა ლომებზე, ვეფხვებზე და სხვ.

საქართველოს სახკინმრეწვის კინო-თეატრები

აპოლო
1 სეანსი იწყება 6 ს., II—7-30, III—9, IV—10-30.
„ვოსტოკკინო"-ს ახალი ფილმი იგდენბუ
დადგმა სომხ. დამსახ. რეჟისორი ამო ბეკ ნაზაროვი.

სპარტაკი დღის სეანსები
I 12 ს., II 1—30 ს., III 3 ს.
მარიამ იაკობინი, ნატა ვაჩნაძე ვ. კუდლევიჩი სურათში.
ცოცხალი ლეში

სპარტაკი საღამოს სეანსები
I სეანსი იწყება 6 ს., II—7-30, III—9, IV—10-30.
მეორე კვირაა გრძელდება „სოიუზკინო"-ს სურათი
ბედნიერი კენტი

საზამთრო დარბაზი
I სეან. იწყება 6 ს. II—7-30, III—9, IV—10-30.
მხატვრული სურათი
ზარე
მარიამ ტენაზის მონაწილეობით

სახელმწ. ცირკი
პროგრამის მე-2 ციკლი
დღეს და ყოველდღე
გასტროლი—სენსაციური სანახაობა [illegible]
7—რომი—7
უშიშარი მომთვინიერებელი ერნესტ შუ
მონაწილეობენ აგრეთვე ყველა ატრაქციონები. ნ. 402

ლითოგრაფიული ქვების წარმოებას ესაჭიროება
სამთო ტეხნიკოსი
საბუდარებზე, ტეხნიკურ ხელმძღვანელის თანამდებობაზე, თეთრი წყაროს რაიონში ცნობებისთვის მიმართეთ: თბილისი, პლეხანოვის გამზირი, № 61, წარმოების დირექციას. 1345

ექიმი
პ. ი. ჯალალოვი
ავადმყოფების მიღება (კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისის მკურნალობა „914" ტრიპერისა და მისი მედეგების მკურნალობა. ავადმყოფთა მიღება: დილით 9—4 ს. საღამოს 6—9 საათ. ქალების და ბავშვების მიღება: 3—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა № 19 ყოფილი დიდი თეატრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—91. ნ. 6434 25—1

გამოყენებითი მინერალოგიის ინსტიტუტის
ამიერ-კავკასიის განყოფილების
აპარატის გამწმენდი კომისია

შეუდგა წმენდის მოსამზადებელ მუშაობას.

ვთხოვთ ყველა ორგანიზაციებს და პირებს, რომელთაც აქვთ მასალები აპარატის და მისი ცალკე მუშაკების მუშაობის შესახებ, გადმოუგზავნონ აღნიშნული მასალები კომისიის თავმჯდომარეს ამხ. ქსენოფონტოვს მისამართით—ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექცია ოთახი № 16. 1349

თანახმად საქ. ცაკის და სახკომსაბჭოს 1930 წლის 17 ივლისის თარიღით № 223 დადგენილებისა თბ. აღმასკომის მმაჩის ბიურო აცხადებს, რომ ქალ. თბილისში, გორის შეს. № 3, მცხ. მოქ. დიმიტრი ივანეს-ძე მალოფეევს შემოტანილი აქვს განცხადება თავისი გვარის მალოფეევის ახალ გვარზე ვოლგინზე გამოცვლის შესახებ. 1339

სახელგამი
თბილისი, რუსთავ. პრ. № 22
ტელეფ. № 3—72

საბჭოთა საქართველოს
ათი წლისთავისათვის
დაიბეჭდა და იყიდება სახელგამის მაღაზიებში
გ. დევდარიანი — მენშევიკების ბატონობის დღენი საქართველოში — (მასალები და დოკუმენტები).
გ. დევდარიანი — ნარკვევები საქართველოს კომკავშირის ისტორიიდან (კომკავშირი [illegible]-ქვეშ).
ფ. მახარაძე — საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში.
ბ. ბიბინეიშვილი — მეოთხედ საუკუნის მანძილზე.
ნ. მიწიშვილი — თებერვალი.
ნ. მიწიშვილი — ეპოპეა.
იბეჭდება და გამოვა 20 თებერვლამდე
„ათი წელი" — საიუბილეო კომისიის მიერ შედგენილი კრებული საბჭოთა საქართველოს აღმშენებლობის და მიღწევების შესახებ.
Г. Девдариани — Дни господства меньшевиков в Грузии (документы и материалы).
Г. Девдариани — Очерки по истории Комсомола Грузии.
ვ. ბუხნიკაშვილი — პიესების კრებული.
ლ. მეტრეველი — 25 თებერვლის [illegible].

სოფლისა და სატყეო მეურნეობის მავნებელთა წინააღმდეგ მებრძოლი
ამიერ-კავკასიისა და საქართველოს სააქციო საზოგადოების აპარატის
გამწმენდი კომისია
შეუდგა წმენდის ჩასატარებლად მოსამზადებელ მუშაობას

ვთხოვთ ყველა ორგანიზაციებსა და პირთ, რომელთაც მოეპოვებათ რაიმე მასალა, რომლითაც ხასიათდება საერთოდ აპარატისა და ცალკე მუშაკების მუშაობა, გამოგზავნონ ასეთი

ამხ. კირაკოზოვის სახელზე მისამართით:

თბილისი, პლეხანოვის პროსპ., 115, ა/ქ მავნებ. წინააღმდეგ მებრძოლ სააქციო საზოგადოებას.

ტელ. № 14—54.

3—2 ნ. 371 **გამწმენდი კომისია.**

ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურ კასპის ცემენტის ქარხნის მშენებლობის

„სოიუზსტროის" სალიკვიდაციო კომიტეტი

აცხადებს ყველა დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და პირთა საყურადღებოდ, რომ ყველა პრეტენზიებს აღნიშნული მშენებლობის მიმართ ღებულობს სადგურ კასპში არსებული სალიკვიდაციო კომიტეტი 1931 წ. 15 მარტამდე, რის შემდეგ აღნიშნული პრეტენზიები აღარ მიიღება.

1331 **სალიკვიდაციო კომიტეტი.**

ქ. თბილისის გაერთიანებულ სახ. სასამართლოს აღმასრულებელი ნ. ი. იზორია ამით აცხადებს, რომ 1931 წ. 24 თებერვალს, დღის 1 საათზე ქ. თბილისში—ლ. მესხიშვილის ჩიხი, № 4

საჯარო ვაჭრობით

გაჰყიდის მოქ. ეკატერინე ვოლდიკიანის კუთვნილ ქონებას: ერთ სართულიან სახლს, რომელიც შესდგება სამი საცხოვრებელ ოთახისა და ორი სამზარეულოსაგან, შეფასებულს 1400 მან. სახლი გაიყიდება ვარვარა ვოლდიკიანის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის სახ. სანოტარო კანტორისაგან 1929 წ. 24/IX № 804-ით, გაცემულ წარწერისა—ს. ს. ს. კოდ. 311—312—მუხ. დაცვით. 1336

ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი
ხ ს ნ ი ს
აფთიაქის პრაქტიკანტთა გადასამზადებელ მოკლე ვადიან
ფარმაცევტიულ კურსებს

კურსებზე მიიღებიან აფთიაქის პრაქტიკანტები ზოგადი განათლებით არა ნაკლები 7 წლედისა და 2 წლის პრაქტიკული სტაჟით. განცხადებები მიიღება განათლების მოწმობით და შრომის სიებით ყოველ დღე ჯ. ს. კომისარიატის ფარმაცევტიულ განყოფილებაში.

1336 ჯ. ს. კ. კადრების განყოფილება

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი იუწყება, რომ 17 თებერვალს უეცრივ გარდაიცვალა საქ. კ.პ. (ბ) ცაგერის რაიკომის მდივანი, საქ. საბჭოთა მე-6 ყრილობის დელეგატი, აქტიური პარტიული მუშაკი

ამხ. კაპიტონ ჯანჯღავა

სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, 11 საათზე მბეჭდავთა კლუბში (კომინტერნის ქ. № 5). გამოსვენება იქიდანვე 4 საათზე სადგურზე. დაკრძალვა სენაკში 21 თებერვალს

საქ. კ.პ. (ბ) ხონის რაიკომი და ქალაქის საბჭო აუწყებენ საზოგადოებას ძველი მებრძოლ ბოლშევიკის

ამხ. კაპიტონ ჯანჯღავას

უეცრად გარდაცვალებას. 1374

საქ. კ.პ. (ბ) სამტრედიის რაიკომი და ქალაქის საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ უეცრივ გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკი, დაუღალავი პარტმუშაკი

კაპიტონ ჯანჯღავა

1333

საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის რაიკომი და ქალაქის საბჭო იუწყებიან, რომ უეცრივ გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკი, დაუღალავი პარტმუშაკი, ცაგერის რაიონის პასუხისმგებელი მდივანი

ამხ. კაპიტონ ჯანჯღავა

საქ. კ. პ. (ბ) ცაგერის რაიკომი მწუხარებით აღნიშნავს რაიკომის მდივნის, დაუღალავი პარტმუშაკის

ამხ. კაპიტონ ჯანჯღავას

უეცრივ გარდაცვალებას.

ღრმა მწუხარებაში მყოფნი მეუღლე ნუნუ, პატარა როზიკოთი, დედა კეტო, დები: აგრაფინა, ქეთია და ქეთო, ძმა სადიონი, რძალი ქინო იუწყებიან, რომ თბილისში უეცრივ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი

კ ა პ ი ტ ო ნ ჯ ა ნ ჯ ღ ა ვ ა

სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, 11 საათზე მბეჭდავთა კლუბში (კომინტერნის ქ. № 5). გამოსვენება იქიდანვე 4 საათზე, სადგურზე. დაკრძალვა სენაკში 21 თებერვალს.

ღრმად დამწუხრებული დები ნინო და სალომე, სიძე გიორგი ხაჯიევი, ცოლით და შვილებით იუწყებიან, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი დაი და სიდედრი

ლიზა დიმიტრის ასული ჯავახიშვილი

გამოსვენება წითელი ჯვრის საავადმყოფოდან, 19 თებერვალს, 4 ნახ. საათზე. დაკრძალვა ველაბრის სასაფლაოზე. 1339

ღრმად დამწუხრებული შვილები: საშა, პავლე და ვანო (ვახტანგი) ჯავახიშვილები აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს საყვარელი დედის

ლიზა დიმიტრის ასული ჯავახიშვილის

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას. გამოსვენება წითელი ჯვრის საავადმყოფოდან 19 თებერვალს, 4 ნახ. საათზე. დაკრძალვა ველაბრის სასაფლაოზე. 1339

დამწუხრებული შვილები: პატა ცოლშვილით, ოლღა, ნიკო ფსუტიაშვილები შვილებით და რძლით, ანა და საბა ტალოძეები შვილებით, იუწყებიან, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველების დედა და მეორეების სიდედრი

ლიზა (ელისაბედ) ჯავახიშვილი

გამოსვენება 19 თებერვალს, წითელი ჯვრის საავადმყოფოდან, 4 ნახ. საათზე, დაკრძალვა: ველაბრის სასაფლაოზე 1339

დამწუხრებული მშობლები: გიორგი და ააა, ძმა ერმი ქართველიშვილები ცოლშვილით, დები: ლიზიკო შვილებით, და მაკო, სიძეები: ნოე ნადარეიშვილი და ალიოშა ხუჯბლიძე, ბიძა ილიკო ქართველიშვილი ცოლშვილით იუწყებიან მათთვის უსაყვარლესი აგრონომის

მიხეილ გიორგის-ძე ქართველიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. სიმონეთში. 22 თებერვალს, 3 საათ. 13[illegible]0

აჯამეთის ზონალური საცდელი სადგურის მუშა მოსამსახურეების ადგილკომი მწუხარებით იუწყება, რომ ა. წ. 16 თებერვალს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა ამავე სადგურის მსწავლული თანამშრომელი აგრონომი

მიხეილ გიორგის-ძე ქართველიშვილი

დაკრძალვა სოფ. სიმონეთში (ქუთაისის მაზრა) ა. წ. 22 თებერვალს. 3 საათზე. 1338

მწუხარებაში მყოფნი: სიდედრი ქრისტინე, ცოლისძმა ვარლამი გველესიანი ოჯახით. ქვისლი გრიშა სოხაძე ოჯახით აუწყებენ საზოგადოებას, რომ 15 თებერვალს გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

სოლომონ დავითის-ძე ალხაზაშვილი

დასაფლავება დღეს, 19 თებერვალს. ქუთაისში. ნ. 399

ქ. თბილისში არსებული ამხ. მიხა კახიანის სახ. სას.-სამ. კოლექტივის წევრები იუწყებიან კოლექტივის გამგეობის წევრის ამხ. იოსებ ალხაზიშვილის უფროსი ძმის

სოლომონ (სოლკა) დავითის-ძე ალხაზიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. 1354

გულდათუთქული დედა თებრონე, ძმები: მიშა, კოტე, გიორგი, იოსებ და ევგენი, დები: მარო, ბაბუცა და თინა ალხაზიშვილები, ბიძები და სიძები: თეოფილე მალანაძე და ლევან კიკნაძე იუწყებიან მათთვის დაუვიწყარი და ძვირფას

სოლომონ დავითის-ძე ალხაზიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ქუთაისში. გამოსვენება აკაკი წერეთლის ქ., № 7ა, 19 თებერვალს. 1353

მორდეხაი დანიელოვის უახლოესი ამხანაგები და მეგობრები: მ. იზრაელაშვილი, დინა დავარაშვილი, მ. და ი. მამისთვალოვები, ს. ბაგდადლიშვილი, ც. დათიკაშვილი, როზა ჩახანაშვილი, ი. მუსიევი, ა. კრიხელი, ლ. ბატაშვილი, ლ. და ს. ხუბაშვილები, გ. ჩაჩაშვილი ა. ჩარუხჩევი ი. კააზაველი და გ. ბაბაზოვი გამოსთქვამენ ღრმა მწუხარებას მათი ძვირფას მამის

დავიდ დანიელოვის

უდროოდ და ტრაგიკულად გარდაცვალების გამო, რომელიც მოხდა 17 თებერვალს. 1350

გულდათუთქული მეუღლე ქეთო, მშობლები ნინო, მიხა, ძმა დავით, და თამარა, რძალი საშა. ძმისშვილები კუკუ ჩვატა და პატულია კარტოზიები აუწყებენ ნათესავ-ნაცნობთ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტის მათთვის დაუვიწყარი

მამია მიხეილის-ძე კარტოზიას

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ზუგდიდში, შაბათს, 21 თებერვალს. 4 საათზე. ნ. 402

მა[illegible] ფაბრიკის კ. კ. ორგანიზაციის წევრები და ბიურო-კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს კ.კ. ბ/კ. პასუხისმგებელ მდივნის ამხანაგ

კონსტანტინე ვასილის-ძე კიკნაძის

ტრაგიკულად დაღუპვის გამო. დასაფლავება სოფ. სალანძილეში, ხარაგოულის რაიონი 1311

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ნესტორო, შვილი ცუცია, სიძე ნიკოლოზ საყვარელიძე შვილებით ცაცა, კატუშა და ტოშია, ძმა ივანე კახიძე, დები: ტიტია ლორთქიფანიძია და ქეთევან მდივნისა იუწყებიან, რომ უეცრად გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

მაიკო ჩიჩიაშვილისა

დაკრძალვა არგვეთაში, პარასკევს, 20 თებერვალს. ნ. 400

მწარედ დავსტირით უდროოდ დაკარგულ საყვარელ და დაუვიწყარ

პაწია მურიკოს (მურმანი) თოდუას

ცხედარს. ლუკა, აგრაფენა, კოლია და ელენე გოგიავები. დაკრძალვა დღეს, 19 თებერვალს, ქ. ზუგდიდში. 13[illegible]6

ლუკა, აგრაფენა, კოლია, ელენე მარო, მიხეილ გოგიავები, ივანე და ეფემია ამირიძეები შვილებით: თამარა, ზოია და ნინა მწარედ დავსტირით უდროოდ დაკარგულ საყვარელ და დაუვიწყარ

პაწია მურიკოს (მურმანი) თოდუას

ცხედარს. დასაფლავება 19 თებერვალს, ქ. ზუგდიდში. 13[illegible]6

კოწია და თუფლე პიპინაშვილები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ უახლოეს მეგობრების დიმიტრი და ლიდა თოდუების შვილის

პატარა მურიკოს (მურმანის)

უდროოდ დაკარგვის გამო. 1316

უახლოესი მეგობრები: ს. ხაფავა, ბ. ჭედია, ნ. კობახიძე, თ. ხადაროეიშვილი, შ. ტოროონჩაძე, შ. გოხალიშვილი, ვ. კაციტაძე, კ. ციქვლაშვილი, დ. დოლიძე, დ. მეგრელიძე, ნ. კიკვაძე, ძ. ვეკუა, კ. ცაბურია, მ. ლორთქიფანიძე, გ. ჯანელიძე და გ. ქართველიშვილი ღრმა მწუხარებით აუწყებენ მეგობრებს და ნაცნობებს უძვირფასესი მეგობრის ტანია გორდულაძის საყვარელი დედის

ლუბა გრიგოლის ას. გორდულაძის

დაკარგვას. 1348

მშობლები: ივანე და ევგენია, ძმა ვლადიმერ, დები: ვერა, კოკონა და თამარა ბაქრაძეები ღრმა მადლობას უძღვნიან ნათესავებს, ამხანაგებს, ნაცნობებს და განსაკუთრებით განსვენებულის გულითად მეგობრებს სიცოცხლით სავსე და ახალგაზრდა

ინჟ. მიხეილ (მიშა) ივანეს-ძე ბაქრაძის

დაკრძალვაში მონაწილეობის მიღებისათვის. 1341

მწუხარებაში მყოფი მეუღლე ისიდორე შვილებით: გიგი და შოთა მაღლაფერიძეები აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ დღეს, 5 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე გადასვენებული იქნება სამიქელაო პანაშვიდი უდროოდ დაკარგულ

მარიამ სიმონის ასული
იაშვილი-მაღლაფერიძის

ხსოვნის აღსანიშნავად. 1343

საქვეყნოდ გულმოკლული მშობლები: რაჟდენ და მარგარიტა შვილებით: სერგო, ლენა და რუსიკო ღრმა მადლობას უცხადებთ იმათ, ვინც პირადი დასწრებით ან დეპეშით გაიზიარა ჩვენი მწუხარება საყვარელ

თამრიკო რაჟდენის ასულ გუაჩიძის

გარდაცვალების გამო. 1330

ტირაჟი — 71.200

სახაზეთო გამომცემლობათა სტამბა, „კოლექტივი", კამოს ქ. № 68.

მთავლიტი № 904